**SOS**

ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი

მე-2 გვ.

1948 წ. ლონდონი, XIV ოლიმპიური თამაშები

მე-3 გვ.

NBA

მაიკლ ჯორდანის გუნდი ნბა-ს ტრიუმფატორი!

მე-4 გვ.



ნენსი რეიგანი „ფილადელფია-76“-ის ქომაგია და, მერე როგორი...

მე-4 გვ.



ფიზკულტურის ინსტიტუტში იწყება საბუთების მიღება

მე-4 გვ.

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

14 ივნისი, პარასკევი, 1991 წ.
№ 110 (10 528) ● ფასი 10+10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ახლოვდება სრულიად საქართველოს სპორტული თამაშები

ამ სპორტულმა ასპარეზობამ უნდა წარმოაჩინოს როგორც ერთიანი საქართველოს, ისე რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების სპორტული პოტენცია. თამაშები ხელს შეუწყობს სპორტის მასობრიობას, გამოავლენს რჩეულთა შორის რჩეულთ. მზად უნდა ვიყოთ საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით ასპარეზობისათვის, რასაც უთუოდ მიაღწევს სრული დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველო. ჩვენი ეროვნული სპორტული თამაშებისათვის განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა მოვემზადოთ. დრო ცოტა რჩება. პრობლემის მოგვარებაში ჩვენი შემწეა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება, რომელიც თამაშების ჩატარების თაობაზეა მიღებული.

## 17-23 ივნისს

როგორც ვიუწყებოდით, ჩატარდება ოლიმპიური კვირეული. კვირეულით მთელი მსოფლიოს სპორტული სამყარო გამოხატავს ერთგულებას ოლიმპიური მოძრაობისადმი დევიზით „სპორტი — ყველასათვის!“ ოლიმპიური კვირეული ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდება ყველა ქალაქში და რაიონში. უპირატესობა კვირეულის პროგრამაში ენიჭება სპორტის ეროვნულ სახეობებს და ხალხურ თამაშებს.

პრეფექტი ერის კეთილდღეობის სამსახურში!

# მესმის პროფესიონალების...

კარგა ხანია ლანჩხუთის პრეფექტთან ბატონ მერაბ გოგუაძესთან საუბარს ვაპირებდით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი ჩვენი ყოფილი კოლეგაა, ჟურნალ „პოლიტიკის“ რედაქტორი იყო და, ცხადია, გვაინტერესებდა, როგორ შეეგუა ახალ ამპლუას. მეორეც, ცნობილი ფაქტია: ლანჩხუთში სპორტს, მით უმეტეს ფეხბურთს, განსაკუთრებული სიყვარულითა და ყურადღებით ეპყრობიან. თამამად შეიძლება ითქვას, ლანჩხუთელებს ოჯახური პრობლემები ისე არ ადარდებთ და აწუხებთ, როგორც სტადიონზე მიმდინარე და მასთან დაკავშირებული მოვლენები. გულახდილნი ვიყოთ, ფეხბურთის ასეთ პოპულარობას სპორტის ამ სახეობით საერთო დაინტერესებამაც შეუწყო ხელი. ყოველივე ამან სასიკეთო ნაყოფი გამოიღო და ისეთ მასშტაბს მიაღწია, დღეს რაიონის მკვიდრნი ლანჩხუთს ფეხბურთის მექას ეძახიან და, თუ გული გერჩით, შეეჯიბრეთ მათ ბურთის, მოედნისა და თავიანთი გუნდის უსაზღვრო და უანგარო სიყვარულში.



ბუნებრივია, ასეთ რაიონში პრეფექტად მოსულ კაცს მართლაც მოეთხოვება დიდი ტრადიციების გაგრძელება, რათა სიყვარულის ის პატარა მარცვალი, ლანჩხუთელთა გულებში რომ ჩავარდნილა და ამოცენებულა, არ გახმეს, უყურადღებობით არ დაზრეს. ვფიქრობთ, მერაბ გოგუაძე ასეთი კაცია. ლანჩხუთის რაიონის სოფელ გრიგოლეთში გაზრდილს, კარგად მოეხსენება თავისი მშობლიური მხარის ავიც და კარგიც. თავადაც, მართალია, ბავშვობასა და ყმაწვილობაში, მაგრამ მაინც, საინტერესო სპორტული ცხოვრებით უცხოვრია, ოპტიმისტია, ლანჩხუთელთა დახმარებით ბევრი დიდი საქმის თავის მობმას აპირებს და ამიტომაც არის, რაიონის სპორტის მოყვარულებს ეს კაცი ასე რომ ეიმედებათ.

● **ბატონო მერაბ, მოდით, თქვენი ბავშვობის გახსენებით დავიწყოთ, რაიონის იმდროინდელ სპორტულ ცხოვრებაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა და, ალბათ, ის ტრადიციებიც გამოიკვეთება, ლანჩხუთს რომ მოხდევს ათწლეულების მანძილზე.**

— დიდი სპორტსმენი არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა სპორტს ყოველთვის კეთილი თვალით ვუყურებდი და ისე, ჯანმრთელობისთვის მივდევდი კიდეც. სკოლაში მეკარე ვიყავი, არ ვიტყვი, რომელ სახეობაში, რადგან რაიონის პირველობაზე ხან ფეხბურთის კარს ვიცავდი, ხან ხელბურთისას. მოკლედ, მეკარეობა ჩემი სტიქია იყო და ეს სიყვარული დღემდე გამომყვა. ოცდახუთი წელიწადია ჩემს სოფელში, გრიგოლეთში, ტრადიციულად იმართება ცოლიანებისა და უცოლოების ჩემპიონატი ფეხბურთში. ამ დღეებში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში დაფანტული გრიგოლეთელები ვიკრიბებით ხოლმე

იხ. მე.2 გვ

# დუშაში. კამათელო!

ნარდის მოყვარულთა 16 გუნდმა გამოთქვა სურვილი ზესტაფონის რაიონის პირველობაში მონაწილეობის მისაღებად. კამათელი ყველაზე დამჯერი აღმოჩნდა თერთხალათიანთა ხელში — პირველი ადგილი დაიკავა სამედიცინო გაერთიანებამ, მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად, ფეროშენადნობთა ქარხნისა და ავტოსატრანსპორტო საწარმოს გუნდები გავიდნენ.

**ზაზა ბელაშვილი,**
ზესტაფონი.

## ოლიმპიურ სამყაროში

**1992 წლის** ოლიმპიადამდე ერთ წელზე ცოტა მეტი დრო რჩება, მაგრამ საქმიან წრეებში უკვე 1996 წლის თამაშების პრობლემებზე მსჯელობენ. ატლანტაში გაცხარდა ბრძოლა იმის თაობაზე, თუ ვინ მოიპოვებს შემოსავალზე კონტროლის უფლებას.

**ტუნისი** 51-ე ქვეყანაა, სადაც შეიქმნა ოლიმპიური აკადემია. იგი ამ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სტრუქტურაში შედის. აკადემიამ მიზნად დაისახა სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მასობრიობა ეროვნულ დონეზე.

**„სპეშიალ-ოლიმპიკი“** ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საგანგებო ლიცენზიით უფლება მიანიჭა ისარგებლოს სოკ-ის სიმბოლიკით. „სპეშიალ ოლიმპიკი“ არის მსოფლიო მოძრაობა, რომელიც ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას და სპორტული შეჯიბრებების ჩატარებას ხელმძღვანელობს იმ კონტინგენტის ადამიანებში, რომლებსაც გონებრივ განვითარებაში გადახრა აქვთ.

## ქველმოქმედება

**უკრაინის** სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის გამგემ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა ჭიდაობა სამბოში ანზორ ჯანგობეკოვმა საქართველოში მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში პირადი დანაზოგიდან 500 მანეთი გადარიცხა.

# როდის უფრო ფასობს ჩემპიონობა?



### რა თქმა უნდა, მაშინ, როცა ამ ტიტულს დაუმარცხებლად მოიპოვებ

**რუმინეთში,** კონსტანცის ახლოს, არის პატარა ქალაქი მამაია. ამას წინათ სწორედ იგი მასპინძლობდა გოგოების ევროპის პირველობებს ჭადრაკში. კონტინენტის პირველი ჩემპიონატები ერთდროულად ჩატარდა ოთხ ასაკობრივ ჯგუფში. ასპარეზობაში საქართველოს სამი წარმომადგენელი ცდიდა ძალას. იმ ბრძოლების შესახებ ინტერვიუ ვთხოვეთ რუმინეთიდან დაბრუნებულ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ბატონ გიორგი მაჰარაშვილს.

— ათ წლამდე მოზარდთა შორის მონაწილე არ გამოგვიყვანია. დანარჩენ სამ ასაკობრივ ჯგუფში კი ორი ოქროს მედალი მოიპოვეს ჩვენმა გოგოებმა.

● **განსაკუთრებით ვინ გვახახელა? რამდენიმე სიტყვით მათ შესახებ.**

— თორმეტ წლამდე მონაწილეთა ტურნირმა „ოქროს“ თორმეტ მაძიებელს მოუყარა თავი. შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. ასპარეზობის ორ დღეს თითოეულმა ორ-ორი პარტია ითამაშა, რადგან ყველაფერი ცხრა სათამაშო დღეში უნდა გარკვეულიყო.

● **ვიდრე შედეგებზე ისაუბრებდით, გვითხარით, ვის ლირსებას იცავდნენ ქართველი გოგოები?**

— საქართველოდან ჩასულებს საჭადრაკო მაგიდაზე ჩვენი სამფეროვანი დროშა ედგათ, დახურვაზეც ამ დროშით გამოვიდნენ. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ამას მიაღწია „ცენტრთან“ ხანგრძლივი დავის შემდეგ. წინაამდეგ შემთხვევაში ევროპის ჩემპიონატი ფავორიტების გარეშე ჩაივლიდა, ამიტომაც საკავშირო ფედერაცია ერთგვარ დათმობაზე წავიდა და ვთვლით, რომ ამით ბევრი გაკეთდა.

● **დავუბრუნდეთ ტურნირს...**

— ცხრა სატურნირო დღე იმანაც განაპირობა, რომ თოთხმეტწლიანებში თვრამეტი მონაწილე შეგროვდა. ისინი შვეიცარიული სისტემით ცხრა ტურში არკვევდნენ ურთიერთობას, ამიტომ ასპარეზობის ცხრადღიანი რეგლამენტი საერთო იყო. პატარებში გაგვახარა ქუთაისის მეორე სკოლის მეხუთეკლასელმა სოფიკო ტყეშელაშვილმა — მან ზედიზედ შვიდი პარტია მოიგო და მხოლოდ ბოლო ოთხ პარტიაში დაუზავდა მეტოქეებს; საბოლოოდ ცხრა ქულა მოაგროვა და ქულით ჩამოიტოვა უახლოესი მდევარი ბულგარელი ანტუანეტა სტეპანოვა. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ითვლებოდა ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად. აქვე ვიტყვი, რომ ალექსანდრე რაზოვსკის მოსწავლეს ტყეშელაშვილს საკმაოდ კარგი მონაცემები აქვს.

იხ. მე.2 გვ





**საქართველოს** დამსახურებული მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში ოთარ მიქელაძე წელიწადნახევარი ავარჯიშებდა სირიის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრებ გუნდს. ამის შემდეგ დაიწყო ქართველ და სირიელ ტანმოვარჯიშეთა ურთიერთობა. ახლა სირიელები 20 დღით ეწვივნენ საქართველოს. სტუმრები უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვიდნენ თბილისში, რადგან ნაკრები ხმელთაშუა ზღვის თამაშებისთვის ემზადება. ეს ვიზიტი ჩვენი ტანმოვარჯიშეებისთვისაც სასარგებლო იყო. სტუმარ-მასპინძლებმა თითქმის სამი კვირა ერთად ივარჯიშეს.

სურათებზე: სირიელი ტანმოვარჯიშეები თბილისში ტანვარჯიშის უმაღლესი დაოსტატების სკოლის დარბაზში წვრთნის დროს.

ანზორ კოქლამაზაშვილის ფოტო.

# გმირი — მფრინავი

(დასასრული)

იგიც, ცად თვალებაპყრობილი, მას დასდევნებია და საპირისპიროდ მომავალ ერთ ქალბატონს დასჯახებია და წაუქცევია კიდევაც. ამ მანდილოსნის თანმხლებ კავალერს ისეთი ალიყური უჭმევია ალექსანდრესთვის, რომ ცხვირპირი ერთიანად დაულილავებია. შინ მობრუნებულისათვის მამამისს უკითხავს, — ეს რა დაგმართნია, ვინმემ გაგლახაო? ალექსანდრეს ხელი მოუსვამს სახეზე, მაშინღა გახსენებია ქუჩაში მომხდარი ინციდენტი და უთქვამს, — ჰო, მგონი ვიღაცამ გამარტყაო ხელი.

1917 წელს, გიმნაზიის დამთავრების მერმე, მშობლების წინააღმდეგობისადამიუხედავად მან მიაშურა აეროდრომს. მოტორისტის თანაშემწედ მიიღეს. ერთი წელიწადის შემდეგ გადაიყვანეს საავიაციო კურსებზე.

სასწავლებელი რა დაამთავრა, სალარაძემ დამოუკიდებელ ფრენოსნობას მიჰყო ხელი. ახალი კონსტრუქციის აპარატის უქონლობის გამო ჩააბარეს ძველი ყაიდის თვითმფრინავი, სამართლად ძალზე საშიში. ძველი ხალხი იგონებს, ან ძალიან უნდა ჰყვარებოდა საქმე, ანდა თავი გაწირული უნდა ჰქონოდა, ასეთ თვითმფრინავში რომ ჩამჯდარიყოო.

ასეთი უვალი ბილიკების გამკვალავი და მუდამ მოუცლელი ალექსანდრე ცდას არ აკლებს ობლად დარჩენილ ორ ბიძაშვილს და გამუდმებით ზრუნავს მათზე.

სალარაძის სიმამაცე და ოსტატობა შეუმჩნეველი არ დარჩათ აეროდრომის მესვეურთ და იგი ახალი კონსტრუქციის იტალიურ თვითმფრინავზე გადასვეს, რომლის მართვისას წარმოაჩინა მან მაღალი კლასის პილოტაჟი.

ალექსანდრე სალარაძე პირველი პილოტია, ვინაც შემოიფრინა რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის მაღალი მთიანეთი. მანვე პირველმა გადაიღო თვითმფრინავიდან ეს სანახები.

პატრიოტი მფრინავი დიდად თანაუგრძნობს 1924 წლის სრულიად საქართველოს აჯანყებას დამპყრობელი წითელი რუსეთის წინააღმდეგ. ხელისუფლებამ იგი მთიან რაიონებში წარგზავნა, რათა ამბოხების საპირისპირო პროკლამაციები გაევრცელებინა. ნაცვლად ამისა, ალექსანდრე დავალების შესრულებისას რაჭა-სვანეთის ყრუ ხევებში ჩაკარგავს ამ ქაღალდებს.

•აჯანყების ჩახშობისას ბოლშევიკთა მიერ გაჩაღებული რეპრესიების ჟამს ხვრეტენ სალარიძის არაერთ ტოლ-ამხანაგსაც და ეს ჭეშმარიტი მამულიშვილი გულში ამოიჭრის შურისგებას.

1925 წელს ალექსანდრე სალარაძეს ანდობენ პირსისხლიანი ჩეკისტების: მოგილევსკის, ათარბეგოვის და მიასნიკოვის გადასროლას აფხაზეთში. იმ წლის 2 მარტს თბილისის აეროდრომიდან აფრინდა „იუნკერსი“, რომელიც ძალიან მალე, დიდუბის მიდამოში ნიადაგს დაენარცხა.

შემორჩა ამ ამბის მომსწრეთა გადმოცემები. თბილისის მოქალაქე გოლაშვილი და სხვანი მოგვითხრობენ: „თვითმფრინავმა დიდუბის თავზე წრე შემოხაზა, უეცრივ იგი კვამლში გაეხვია და ნელ-ნელა დაეშვა წვერით ძირს. დავინახეთ, როგორ ხტებოდნენ იქედან ალმოდებული ადამიანები. როცა მივირბინეთ, ვიხილეთ მათი დანახშირებული გვამები.“

შემდგომი ცნობების მიხედვით ჩეკისტების სხეულში აღმოჩნდა ტყვიები.

ასე რომ, ირკვევა: გმირმა პილოტმა, ვიდრე თვითმფრინავს ძირს დაანარცხებდა და საკუთარი სიცოცხლის დათმობის ფასად ბოლოს მოუღებდა ქართველი ერის მტრებს, ტყვიები დაახალა მათ.

ხელისუფლებამ დიდის ამბით დამარხა ეს ყოვლად უმგვანო და ულირსი პირნი ისეთ თვალსაჩინო და საპატიო ადგილას, როგორიც რუსთაველის პროსპექტია. საქმის ნამდვილი ვითარების მისაჩქმალავად კი მათთან ერთად დაფლა ვითომდა მათი ბედის თანაწილე სალარაძის ნეშტიც.

1924 წლის აჯანყების მონაწილე, შემდგომში დაპატიმრებული და დახვრეტილი ლეო რუხაძის მიერ 1925 წელს ციხეში დაწერილ დღიურში აღმოჩნდა ამ ამბის ამსახველი ფურცლები.

1 აპრილი.

დღეს მიღებულ მოსკოვის გაზეთებში მოთავსებულია ცნობა, რომ ტფილისიდან სოხუმში გადაფრენის დროს ჰაეროპლან „იუნკერსზე“ დაიღუპნენ: ზაკჩეკას თავმჯდომარე მოგილევსკი, ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობის თავჯდომარე მიასნიკოვი, ფოსტა-ტელეგრაფის კომისარი ათარბეგოვი, მფრინავი შპილი და მექანიკოსი სალარაძე. ჰაეროპლანს ჰაერში გაჩენია ცეცხლი. ათარბეგოვი და მიასნიკოვი გადმომხტარან და მიწას უსულოდ დანარცხებიან. შემდეგ მფრინავი შპილიც გადმომხტარა, უკვე ცეცხლმოკიდებული, ხოლო სალარაძე და მიასნიკოვი აპარატთან ერთად დამსხვრეულან. ხუთივე მგზავრი დახოცილა. ყველა გაზეთში დიდი ტრაურია. ტფილისში უკვე დაუნიშნავთ კომისია კატასტროფის მიზეზების გამოსაკვლევად.

2 აპრილი.

გაზეთები კვლავ სავსეა ტფილისის კატასტროფის ამბებით. ხარკოვის „კომუნისტში“ მოყვანილია დახოცილთა ბიოგრაფიები. ათარბეგოვს იხსენიებენ თეთრგვარდიელთა რისხვად. თურმე მას დაუხოცია კისლოვოდსკში 1918 წელს რადკო დმიტრიევი, რუზსკი და სხვა ცნობილი სარდლები. მოგილევსკის დამსახურებად უთვლიან ქართული მენშევიზმის დაშლამოსპობას. ის დიდვაჭრის შვილი ყოფილა. პირველად თურმე დაშნაკი გამხდარა, მერე კი ისე გარუსებულა, სომხურიც დავიწყნია.

3 აპრილი.

დღეს უკვე არის გაზეთებში კომისიის დასკვნა ტფილისის კატასტროფის შესახებ. სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია ადასტურებს, რომ „იუნკერსის“ მარკის ჰაეროპლანი სრულიად საღი იყო, მოტორის სიკარგე ავარიის შემდეგაც კი ცხადია. ასე რომ, ცეცხლი არ შეიძლებოდა გაჩენილიყო მოტორის, კარბურატორის ან რომელიმე სხვა ნაწილის მიზეზით. ერთადერთ მიზეზად რჩებოდა მგზავრების მიერ პაპიროსის მოწევა, მაგრამ „იუნკერსზე“ ნებადართული ყოფილა ასეთი საქციელი.

მიასნიკოვსა, ათარბეგოვსა და მოგილევსკიზე პრესაში ვრცელი წერილებია მოთავსებული. სალარაძეს და შპილს მხოლოდ გაკვრით ახსენებენ. ქართულ „კომუნისტში“ დახატულია სალარაძე და მოყვანილია ნაწყვეტები მისი წერილიდან, რომელიც ალექსანდრემ გამოუგზავნა თავის ძმას რაჭაში გაფრენის წინ:

„აი, ჩვენი სოფელი, აი, ჩვენი ბავშვობის საყვარელი ადგილები, იქეთ კიდევ — მთები. მე ვტირე, როცა თავზე დავტრიალებდი ჩვენს მშობლიურ კუთხეს“, — ცრემლნარევი სიყვარულით წერს იგი თავის ძმას. მოკლე ეს წერილი, მაგრამ ძალზე ბევრის მთქმელი.

იგივე „კომუნისტი“ გვამცნობს, რომ სალარაძე უკანასკნელი გაფრენის წინ განსაკუთრებული გულთბილობით ემშვიდობებოდა თავის ახლობლებს.

რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს?!

ერთი რამ ცხადზე ცხადია — სალარაძე უთუოდ ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტი არის.

საზიზღარ პროვოკაციას ქმნის ტროცკი, რომელიც სოხუმში ბრძანდება საქმოდ. ქალაქის თეატრში მას წარმოუთქვამს სიტყვა კატასტროფის მსხვერპლთა შესახებ: „ჩვენ ვერასოდეს ვერ შევიტყობთ ამ ტრაგედიის მიზეზებს, რადგან მოწმე არავინ დარჩენილა. უეცარმა, ბრმა შემთხვევამ (იქნებ არცთუ უეცარმა, რაზეც უნდა დავეკითხოთ მენშევიკებს). მოგვტაცა საუკეთესო ამხანაგი“ — ასე პათეტიკურად [illegible] იგი, გამომდგარი სოხუმის თეატრის ტრიბუნაზე და რუსებს ქართველ ხალხზე უსისინებს პოგრომების მოსაწყობად. თითქოს არ კმაროდეს ის არნახული დარბევანი, რაც აგერ გუშინ მოაწყვეს რუსეთის ვანდალებმა საქართველოში. ვინ უწყის, იქნებ მათ მართლაც გამოიყენონ ეს ფაქტი ჩვენს გასაჟლეტად“.

ლეო რუხაძე

1925 წელი. სუზდალის საპყრობილე, საკანი №32

ასეთია ამბავი რაინდი მფრინავისა. მის შესახებ ცნობები არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებამ შეაგროვა ახლობელთა გადმოცემებიდან და ამ საქმეში ჩახედულთაგან.

მისი ძმა კაპიტონი, თავად ტაბახმელას 1921 წლის ბრძოლების მოხალისე მონაწილე, სიცოცხლის ბოლომდე შეინახავს ნატეხს იმ თვითმფრინავისა, რომელთან ერთადაც დაიფერფლა პილოტი სალარაძე.

ჩვენი ეროვნული სულის მხილავმა ქართული სიტყვის დიდოსტატმა, გრიგოლ რობაქიძემ სწორედ ეს პიროვნება მოინიშნა რომანის („მცველნი გრაალისა“) გმირის — სალარას პროტოტიპად.

ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ იმ ხანებში გამოქვეყნდა ცნობა, სადაც ყოველივე ბრალდება ჰაეროპლანზე გაჩენილ ცეცხლს. მარცხნივ გამოსახულია მფრინავი შპილი, კიდევ ერთი მოკლული (ალბათ იგიც ბრალეული), მარჯვნივ კი — ამ ვაჟკაცური საქმის აღმსრულებელი, ჭეშმარიტად გმირული სულისკვეთების მქონე ქართველი კაცი, სახელად და გვარად — ალექსანდრე სალარაძე.

ედიშერ გიორგაძე
არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების თავმჯდომარე.

## ქართული მოძრავი თამაშობანი

# ბრმების დოლი




ცნობილმა ქართველმა ტანთმოვარჯიშემ და საზოგადო მოღვაწემ, ბათუმის I შევარდნის ვარჯიშთავმა, ბატონმა გიორგი მერკვილაძემ 1921 წელს თბილისში გამოსცა მრავალმხრივ შესანიშნავი წიგნი „ქართული მოძრავი თამაშობანი“.

გაზეთი „პრომეთე“ სისტემატურად დასტამბავს ცალკეულ თამაშობათა აღწერილობებს (მცირედი კომენტარებით), ამ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნიდან.

ამჯერად ვბეჭდავთ განმარტებას თამაშისა „ბრმების დოლი“, რომლითაც ერთნაირად შესაძლოა გაერთონ როგორც თვალხილულნი, ასევე უსინათლონი.

ეს თამაში უნდა გაიმართოს სწორ, გაშლილ ადგილას. სათამაშო მოედნის შუაგულში დაარჭობენ ბაირაღს, ან იქ დადგება ხელმძღვანელი. ბავშვები შორდებიან ასპარეზის შუაგულს 50-100 ნაბიჯით. მერე გაჩერდებიან სასტარტო წრეზე, აიხვევენ თვალებს და ხელმძღვანელის შეძახებისთანავე დაიძვრებიან ცენტრისაკენ ნაბიჯით. გამარჯვებული ის დარჩება, ვინც ყველაზე ახლოს აღმოჩნდება დანიშნულ ადგილთან, ოღონდ არ გადასცდება მას. ეს თამაში ითხოვს მანძილის ნატიფ ალღოს და მიდამოში ორიენტირების უნარს.



# ჭიდაობა ამერიკაში

აშშ-ში ჭიდაობა საკმაოდ პოპულარული სპორტის სახეობაა. ხალიჩის ერთ-ერთი სახელოვანი ამერიკელი ოსტატი გახლდათ ვირჯინიის შტატის, კუანტიკის მკვიდრი, საზღვაო ფეხოსანთა სერჟანტი, გრეგორი გიბსონი, რომელმაც ერთადერთმა მოაგროვა მედლები სპორტული ჭიდაობის სამფრთეში.

1982 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე დაჯილდოვდა ოქროს მედლით სამბოში, ბრინჯაოს მედლებით კი — თავისუფალსა და კლასიკურ ჭიდაობაში.

1983 წელს გიბსონმა მთელი ძალისხმევა ჩააქსოვა თავისუფალ ჭიდაობაში და კიევში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში მოიპოვა მეორე ადგილი, წააგო რა, ფინალური ბრძოლა ასლან ხადარცევთან, მერე კი ამერიკის ღია ჩემპიონატში, პანამერიკულ თამაშებში დაჯილდოვდა ოქროს მედლებით.

190 სმ სიმაღლის, ამ კუნთებდაგრაგნილ ათლეტზე (რომელიც გამოდიოდა 100 კგ-მდე წონაში), სპორტული ჟურნალისტები ამბობდნენ, ჩვენი ქვეყნის არცერთი მოჭიდავე ისე არ ჩამოჰგავსო ქანდაკებას, როგორც შესანიშნავად აღნაგი გრეგორი გიბსონი.

## ქართული სპორტის ისტორიიდან

# ერთი „თეთრი ლაქის“ შესახებ

საქართველოს სპორტის ისტორიაში არის მონაკვეთი, რომელიც ფაქტიურად უკვლევია. მთელი 70 წლის მანძილზე ხომ სასტიკად იკრძალებოდა მისი მოხილვა და მეცნიერს მკვლევარსაც ამის გადამკიდე უსიამოვნება მოელოდა. — ეს გახლავთ 1918-1921 წლები, ხანა, როს საქართველოში, დაეფუძნა დემოკრატიული რესპუბლიკა და ქართველმა ხალხმა მთელი 117 წლის განმავლობაში ნატვრად ქცეული თავისუფლება ჰპოვა.

ამ ხანის სპორტის ისტორიას მხოლოდღა ავუგად თუ იხსენიებდა 1920-იანი წლების ქართული საბჭოური პრესა (გაზეთი „სპარტაკი“, ჟურნალები: „ფიზიკური კულტურა“, „საბჭოთა ფიზკულტურა“, „ფიზკულტურა და თავდაცვა“ და სხვ.). დემოკრატიული საქართველოს სპორტული მოძრაობის მთავარ მამოძრავებელ ღერძს — ტანვარჯიშულ საზოგადოება „შევარდენს“, ეს ჟურნალ-გაზეთები წვრილბურჟუაზიულად, შოვინისტურად ნათლავდა — მის ხელმძღვანელთა დისკრედიტაციასაც არ ერიდებოდა, სამაგიეროდ აქებდა და ადიდებდა ლენინ-სტალინს, მახარაძეს, ორჯონიკიძეს და საქართველოს სხვა დამაქცევართ. ერთადერთი მკვლევარი, რომელმაც „გაბედა“ და შეისწავლა ამ პერიოდის სასკოლო ფიზიკური აღზრდის საკითხები, იყო პედ. მეცნ. დოქტორი ზ. შერაზადიშვილი, მაგრამ სპორტის ისტორიის სხვა დანარჩენი ასპექტები დღემდე შესწავლაგაშუქების მოლოდინშია.

ტანმოვარჯიშეთა (სპორტულ საზოგადოება „შევარდენის“ წევრთა) სიტყვამიგება შეხვედრისას ამგვარი იყო: „გუშაგობ ერს? — მარად!“ ეგ არ გახლდათ მშრალი, გარეგნული პათეტიკა. „შევარდენის“ ხელმძღვანელებმა მისალმების ამგვარს ფორმაში მოაქციეს დემოკრატიული საქართველოს სპორტსმენი ახალგაზრდობის აღზრდის მთელი იდეოლოგიური მრწამსი. ქართული სპორტის ისტორიის დამამშვენებელი ეს უნიკალური საზოგადოება შეიქმნა 1918 წლის 25 აგვისტოს გიორგი ნიკოლაძისა და გიორგი ეგნატაშვილის თავკაცობით. „შევარდენს“ გადაეცა დარბაზი, რომლის დარიც, — გიორგი ეგნატაშვილის თქმით, — „მთელ რუსეთში

(დასასრული მე-3 გვ.)




ჟურნალ „შევარდენის“ გარეკანი

ეროვნული ბიბლიოთეკა


# პრომეთე

№2
1991 წ.
ივნისი

საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაციის გაზეთი. „ლელოს" დეკადური დამატება.


სული გულს — მოდვინე არს. ხოლო ხორცნი უძლურ
მათე 26. 41.

## ქართული ხალხური პოეზია ადამიანის იერის გამო

დიდი ფიზიკური კულტურისა და ესთეტიკის მქონი ქართველი ხალხის მიერ შექმნილ პოეზიაში მრავლად არის მიმობნეული ქება-დიდება კაცის მხედრულ-სპორტული შემართებისა.

ძმაო, შენზე უკეთესსა,
ვისა ვნახავ მიმავალსა,
მხარ-ბეჭები, მხარ-კისერი
როსტომს გიგავ ფალავანსა,
ახლო მტერსა არ მიუშვებ,
შემოირტყამ გალავანსა.

## ქართველი კალმოსანნი სულისა და სხეულის ჰარმონიის შესახებ

პედაგოგებსა და მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ყმაწვილთა ვაჟთა და ქალთა აღზრდისას თუ ფიზიკურ მხარეს მიაქცევთ მომეტებულ ყურადღებას, თქვენ დაბადებთ ან ათლეტს, ან ველურ კაცს, და თუ სულიერის მხარის გახსნას ეცდებით, თქვენ აღზრდით იდეალისტს, ხოლო უკეთუ მოიწადინებთ მარტო გონების გახსნას, მაშინ თქვენი მოწაფე შეიქმნება ან უგუნური, ან ჭკუიდან შეშლილი. ნამდვილი განათლებული კაცი ის არის, რომელშიც მისი ბუნების ყოველი მხარე გახსნილია და ერთმანეთთან ისეა შეთანასწორებული, რომ ერთი მხარე არ დასძლევს მეორეს.

გიორგი წერეთელი

ქართული სპორტის მატიანე

## მეკარე — ავაზასდარი



[illegible] ამბავი უპირველესად სწორედ მეკარეს უნდა გამოვკითხო. ამიტომაც იყო, ვლადიმერ მარღანიას თაობაზე სახელოვან გოლკიპერს, ქართული ფეხბურთის ამაგდარ სერგეი შუდრას რომ მივაკითხე. ტყავის ბურთის ჩინებულმა ოსტატმა ცისფერი თვალები ოდნავ მოხუჭა და ღიმილით ისე თხრობა:

„1947 წლის შემოდგომაზე თბილისის „დინამოს" გუნდში განაწესეს სოხუმელი ყმაწვილი კაცი ვლადიმერ მარღანია. იგი კარს უკან შველურ სკამზე იჯდა, ნერვიულად ათამაშებდა ხელში გაცრეცილ ტყავის ხელთათმანებს და ჩემსა და ვალტერ სანაიას წვრთნასადევნებდა თვალს. შემდეგ ანდრო ჟორდანიამ იგი კარში ჩააყენა. ვლადიმერს მწვანე სვიტერი გაესწორებინა, თავზე გახუნებული კეპი ჩამოეცვა და ვარჯიშს შესდგომოდა. ძლიერ ღელავდა ახალბედა მეკარე და ხშირ-ხშირად გამოჰქონდა ბადიდან ბურთი. გულისყურით ვუსწორებდი ყოველ შეცდომას. რჩევას არ ვაკლებდი, თუ როდის დაეტოვებინა კარი, ან არა და რაგვარ ვითარებაში, ვთქვათ და, მუშტით მოეგერიებინა ბურთი. სანაიამ მას აკრობატიკა შეათვისა, თავდამსხმელის ფეხქვეშ ჩავარდნა. აგრე გრძელდებოდა კარგა ხანს, ხოლო 1948 წლიდან ვლადიმერ მარღანიას არცთუ იშვიათად თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში იხილავდა კაცი. უზადო რეაქციით მომადლებული სოხუმელი ბრწყინვალედ იგერიებდა მაღალ ბურთებს, საუცხოოდ თამაშობდა კარის ხაზზე. თანდაყოლოდა აგრეთვე მეკარისათვის შეუცილებელი თვისება — ელასტიური გემა. ალბათ რინგზე გამოსვლებიც საკმაოდ წაადგა. მარღანია ხომ აფხაზეთის ჩემპიონი გახლდათ ჭაბუკთა შორის."

„მახსოვს — იგონებს სპორტის ოსტატი კარლო გაგნიძე, — თბილისის „დინამომ" ხევის ნაპირებს ეწვია და საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი გაუმართა ლენინგრადის კლუბებს „ზენიტსა" და „დინამოს". ორივე თბილისელებმა მოიგეს. ეს შეხვედრები კიდევ უმეტეს იმიტომ შემორჩა მეხსიერებას, რომ ჩვენი კარის დარაჯის ბრწყინვალე ოსტატობამ განაცვიფრა თვით ბევრის მნახველი ლენინგრადელი მაყურებელი. სტადიონზე შეკრებილი ათასობით მოყვარული ფეხბურთისა, ზეზე წამომდგარი, უკრავდა ტაშს მარღანიას თავგადადებას. იქაური პრესა ერთხმად აღიარებდა — თბილისელთა გამარჯვებათა მთავარი ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი. სწორედ ვლადიმერ მარღანია იყო."

ახლა სოხუმის საფეხბურთო სკოლის დიდოსტატთაგანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გიორგი ანთაძეს მოვუსმინოთ:

„ვლადიმერ მარღანიას ბრწყინვალე თამაში ხშირად განაპირობებდა თბილისელთა გამარჯვებას. შემიძლია დავასახელო კიევში ადგილობრივ თანაკლუბელებთან გამართული მატჩი. ჩვენი თანამემამულე ანდრო ზაზროშვილი მაშინ უკრაინელთა გვერდიგვერდ თამაშობდა. მახსოვს, პირველ ნახევარში კიეველთა კარში გავიტანეთ ბურთი. ტაიმის დასასრულს უკრაინელები მოჰყვნენ გააფთრებულ იერიშებს, თავდაუზოგავად უტევდნენ სამხრეთელთა კარს. თბილისელები მხოლოდ ათნი ვთამაშობდით. მსაჯმა მოედანი დაატოვებინა თოლრიას. ჩვენი კარის ერთი ამგვარი დალაშქვრისას მარღანიამ აკრობატული ნახტომით მოიგერია ბურთი, მაგრამ მიწლორს უხეშულად დაენარცხა და დაზიანდა. ექიმები შეეშველნენ. ის იყო, მარღანიას მესაცვლელად დაიძრა შოთა კიტია, რომ ვლადიმერმა თვალი გაახილა და ამოილუღლუღა: „ვითამაშებ, ბიჭებო!"

მეორე ნახევარში უკრაინელი ფეხბურთელები არ მოსცილებიან ჩვენი საჯარიმო მოედნის მისადგომთ, მაგრამ მარღანია ისე მარჯვედ იგერიებდა კიეველთა დარტყმებს, რომ ტაშით აჯილდოვებდნენ ტრიბუნებზე მსხდომი მაყურებლები. აგრე ვიტყოდი — ეს ცალკარში თამაში გახლდათ, რომ ჩვენი მეკარის ოსტატობამ და თავგანწირვამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საერთოდ მსურს ვთქვა, რომ ძლიერად თამაშობდა იგი კარის ხაზზე და თითქმის უშეცდომოდ გამოენთებოდა კარიდანაც.

მინდა მოგახსენოთ, რომ მან მრავალი სიახლე შემატა მეკარეთა თამაშს. გააფართოვა კარის მცველის დიაპაზონი, ხშირად ტოვებდა საჯარიმო მოედანს და ფეხითაც თამაშობდა როგორც მეოთხე მცველი. მის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ თამაშში ბურთის ხელით შეტანა, მან პირველთაგანმა რომ მოიხაზრა."

ვლადიმერი ჩინებულად ხელმძღვანელობდა მცველთა თამაშს. უტყუარ ალღოს მინდობილი, ძლიერ ხშირად იმგვარ უძნელეს ბურთებს იგერიებდა, ფეხბურთის სპეციალისტები და გულშემატკივრები სახტად რჩებოდნენ. ზოგიერთ კარის დარაჯს უმეტეს მარჯვნივ ეხერხება გადახტომა, ზოგიერთს — მარცხნივ. მარღანია ორივე მხარეს თანაბრად ხტებოდა. ეს ერთი შეხედვით სუსტი აგებულების საოცრად სხარტი, ვერცხლისწყალივით ფეხბურთელი აგრე დანავარდობდა, ვითა ავაზა ჯუნგლებში. ნათქვამის დასტურად ერთი ბრწყინვალე მაგალითი მინდა მოვიშველიო:

საიდუმლოდ აკი ყოველმა კარგად უწყოდა რარიგ ძლიერად ურტყამდა კარში დონეცკის „შახტიორის" ცენტრალური თავდამსხმელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი პონომარიოვი. იმჟამინდელი სახელგანთქმული მეკარეები, თუნდაც ხომიჩი (მოსკოვის „დინამო"), ნიკანოროვი (ცდკა), ივანოვი („ზენიტი") და სხვები აშკარად გაურბოდნენ ამ მრისხანე ფორვარდთან შეხვედრას. ერთხელაც იყო თბილისის „დინამო" სწორედ დონეცკის „შახტიორს" ხვდებოდა. პონომარიოვმა დაახლოებით 16-17 მეტრის სიშორიდან ძლიერად დაარტყა თბილისელთა კარისაკენ. მარღანიამ არნახული აკრობატული ილეთი განასრულა და რისვაივაგლახით მოიგერია ის ბურთი, რომელსაც კვლავ პონომარიოვი დაეუფლა. ამჯერად დონბასელ მოიერიშეთა ლიდერმა კარის მოპირდაპირე მხარეში დააგზავნა ბურთი და მაშინ იყო, სტადიონზე დამსწრე ყოველი გულშემატკივარი რომ განაცვიფრა დინამოელთა მეკარის უბადლო ოსტატობამ. ვოვა მარღანია თითქოსდა რამ გრძნეული ძალით ზამბარისებრ მოწყდა მიწიდან, კარის მარჯვენა მაღალი კუთხისაკენ გაფრინდა, თითებით მიწვდა ბურთს და შეძახილით — „არის!" — კუთხისაკენ გადაისროლა იგი. კარს უკან სათადარიგო მოთამაშეთათვის განკუთვნილ შველურ სკამზე ჩამომჯდარი ვადევნებდი თვალს ამ საოცრებას. მაყურებელთა თანაერთ აღტაცება ვერ დავმალე, ამ მართლაცდა სასწაულის შემხედვარე კინაღამ მინდორზე გავიჭერი, პონომარიოვმა კი სიმწრით ხელი ჩაიქნია და კუთხური დარტყმის ალამს გახედა ამრეზილად.

„ვლადიმერ მარღანია მტკიცე ბუნების და ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანი გახლდათ. მე და ვოვა ძალიან მალე დავმეგობრდით, — ამბობს მარღანიას მეწყვილე, სპორტის ოსტატი შოთა კიტია. — ერთხელ ვლადიმერმა ასეთი ვარჯიში მოიგონა — კედელზე თეთრი საღებავით გამოსახული კარის წინ დადებდა ბურთს, გამოქანდებოდა და ძლიერად დაარტყამდა კარში. ფარი უმალ აისხლეტდა დამიზნებულ ბურთს, რომელსაც მარღანია ელვისებრი ნახტომით ეუფლებოდა.

ჩემი კერპი და მასწავლებელი ბუნებამ სიმღერის ნიჭით შეამკო. მარღანია მოცალეობის ჟამს თავადაც მღეროდა და მეც მამღერებდა ქართულ სიმღერებს. წარმტაცად ხიბლავდა სევდიანი მეგრული „ნანა". მისი მოსმენისას სევდა მოერეოდა და შორეულ სივრცეებს მიაპყრობდა ნაღვლიან თვალებს.

50-იანი წლების ბრწყინვალე მეკარისა, ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებზე ნვეულის, ტრაგიკულად დაღუპულ ვლადიმერ მარღანიას შესახებ თხრობა მსურს დავასრულო თბილისის „დინამოს" ღირსეული კაპიტანის ავთანდილ ღოღობერიძის ნაამბობით:

„დინამოელები მოსკოვში ადგილობრივ რკინიგზელთ ვეთამაშებოდით. ერთი მოსკოველი თავდამსხმელი დაუსხლტა ჩვენს მცველებს და მარღანიას შემორჩა პირისპირ. ვლადიმერმა ისაზრა, კარიდან გამოსვლას ვეღარ მოასწრებდა, ადგილზე გაილურსა. ამასობაში თავდამსხმელი კიდევაც მოეჭრა კარის სიახლოვეს, მაგრამ დინამოელი ვერა და ვერ გამოიტყუა. მაშინ იყო, რკინიგზელთა ფორვარდმა ძალუმად დაარტყა კარის მარცხენა კუთხეში. მარღანია თუმც აკრობატულად გადახტა, მაგრამ აგრე-რიგად იოლად ვერ მოუხერხდა მოგერიება ბურთისა, რომელსაც კვლავ მოსკოველი დაეუფლა და ახლა ის მეკარის მხარმარჯვნივ ცარიელ კუთხეში გაგზავნა მოსკოველმა. საქმე მოთავებულად ჩათვალა და მოედნის შუაგულს მიაშურა. ოღონდ ეს იყო, თბილისელი მოთამაშეების აღტაცებისაგან გაბრწყინებული სახენი რა დალანდა, ელდანაკრავი მოტრიალდა — მარღანია იმ უშორესი კუთხისაკენ დარტყმულ ბურთსაც მისწვდომოდა და კუთხურზე გაეგზავნა იგი. მოსკოველმა თავზე ხელი შემოირტყა და ბორძიკით განაგრძო სვლა მოედანზე."

ამგვარი გახლდათ თბილისელთა ლეგენდარული მეკარე, რომელსაც არ დასცალდა მსოფლიო ასპარეზზე გასვლა და დიდთა მწვერვალთა დაპყრობა; მაინც კი იგი შუქურვარსკვლავად აღმონთებული, მარად დარჩება ქართული სპორტის მატიანეში.

შალვა ქირია

## სიმონ ბაგრატიონ—მუხრანელი



იშვიათი აღნაგობის მხედარი, შესანიშნავი მსროლელი და ცხენოსანი, წმ. გიორგის ჯვრის კავალერი, გულმხურვალე ქართველი პატრიოტი (1923 წელს დახვრეტილი ბოლშევიკთა მიერ) თავადი სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი ისეთი ეშხიანი და ვაჟკაცური პიროვნება ყოფილა, რომ მოხიბლა თვით რუსი ჩეკისტი, რომელმაც დაატყვევა და ბადრაგით ჩამოიყვანა მოსკოვიდან. შინსახკომელი ეახლა სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლეს, ქ-ნ ნინოს და გაენდო: ისე მომაჯადოვა თქვენი მეუღლის მდიდარმა ხალასმა ბუნებამ და იშვიათმა გარეგნულმა იერმა, ვიფიქრე, ამ დალოცვილის დახვრეტაზე უარესი ცოდვა რაღა იქნება-მეთქი და გაქცევა შევთავაზე; სიმონმა კვლავაც გამოავლინა თვისი რაინდული ბუნება, — ასე მომიგო, რას ამბობ, ჩემს მაგიერ შენ მოგთხოვენ მკაცრ პასუხს და ასეთ ფასად რომ გადავრჩე, რა სინდისით უნდა ვიცოცხლოო.

ქართული ეროვნული მოძრაობა და სპორტი

## გმირი მფრინავი

ყოველი თბილისელისათვის ნაცნობია საფლავი, რომელიც მდებარებს რუსთაველის პროსპექტზე მხატვრების საგამოფენო დარბაზის წინ, სქელი ჯაჭვით შემოკავებულ სკვერში, მაგრამ ალბათ ბევრმა არ უწყის ამ სამარხის წარმომავლობა.

სულ აგერ ახლახანს, გამვლელი ფირნიშებზე ამოიკითხავდა გვარებს: მიასნიკოვი, ათარბეგოვი, მოგილევსკი, რომელთა შორის თვალს ეუცხოებოდა წმინდა ქართული გვარი — ხაღარაძე.

ვინ იყო იგი?!

ქართული საფრენოსნო სპორტისა და ქართველ მეომარ მფრინავთა კოჰორტის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი, ალექსანდრე ხაღარაძე, დაიბადა 1893 წელს, ამბროლაურის რაიონის სოფელ პატარა ონში. ხაღარაძეების ოჯახი მალე გადმოდის თბილისში და ყმაწვილი ალექსანდრე შედის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ამ ხანებში ცნობილი მფრინავი ბესარიონ ქებურია ხშირად მართავდა საჩვენებელ გამოსვლებს. სპორტის ამ სახეობით მოხიბლული ალექსანდრე მთელ დროს აეროდრომზე ატარებდა, შინ კი სხვადასხვა სახის თვითმფრინავების მოდელებს, საჰაერო ბურთებს ამზადებდა, აწყობდა საფრენ აპარატებს და მერმე თავისი სახლის სახურავიდან ძირს უშვებდა. ერთ-ერთი აპარატი ისე შორს გაფრენილა, რომ ქუჩაში მიდენილი გაკვირვებული ბრბო საცქერლად შექუჩებულა.

ალექსანდრეს გატაცება თვითმფრინავებით ლამის ფანატიზმს აღწევდა თურმე. მის ახლობელთა გადმოცემით ერთხელ, რუსთაველის პროსპექტზე მიმავალ ყმაწვილს რკინის ფრინველი მოულანდავს ჰაერში...

(დასასრული მე-2 გვერდზე)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესმის პროფესიონალების...

(დასასრული)

და ასპარეზობა მეტად საინტერესო გამოდის. ფეხბურთი ამ შემთხვევაში მარტო უბრალო შეჯიბრება არ არის, იგი თავს გვიყრის, ერთმანეთს გვახვედრებს ერთ მიწაზე გაზრდილ და დავაჟკაცებულ ხალხს. ასეთ დროს ჩვენი კუთხის სიყვარულიც უფრო მოგვეძალება ხოლმე და ერთმანეთსაც უფრო მეტად ვესიყვარულებით. ტრადიციები გავიხსენოთო. ეს მართლაც არ არის დასაკარგავი ტრადიცია და ჩემი მუშაობის პერიოდში მას განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ.

სიტყვა გამიგრძელდა, ბავშვობაზე ვსაუბრობდით. ჩემი მეგობრის მამამ გიორგი გოგელიამ ჰადრაკის თამაში მასწავლა და მეც ისე გამიტაცა ამ თამაშმა, დაფას არ ვცილდებოდი. ხან მამაჩემს „ვეთამაშებოდი, ხან კი — ჩემი მეგობრის მამას, ჩემს პირად „მასწავლებელს". მალე ისე დავოსტატდი, სასკოლო შეჯიბრებებში ვიმარჯვებდი და მეორე თანრიგსაც მივაღწიე. არ მავიწყდება ჰადრაკთან დაკავშირებული ერთი ამბავი: — უკვე სტუდენტი ვიყავი, უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი დაუსწრებელ განყოფილებაზე. ჩემი ფიზკულტურის მასწავლებელი საკმაოდ ცნობილი კალათბურთელი დათიკო ქამუშაძე გახლდათ. დამიძახა და მითხრა, გავიგე ჰადრაკში მეორე თანრიგი გქონია, მეთამაშე, თუ ყაიმს მიაღწევ, ჩათვლას მოგცემო. მართლაც ყაიმით დავამთავრე ეს შეხვედრა და ჩათვლაც მივიღე.

ზღვის პირას გაზრდილს, რა თქმა უნდა, ცურვაც მიყვარდა და წყალთან დაკავშირებული სპორტის სახეობებიც, მაგრამ სერიოზულად ამ სახეობებისათვის ხელი არ მომიკიდია.

ლანჩხუთელები სპორტის ეროვნულ სახეობებსაც დიდ პატივს სცემენ და არც ამ ტრადიციის დავიწყება შეიძლება: მაგალითად — ლელობურთი. ცხენის და ბურთის სიყვარული სისხლში და ხორცში აქვთ ჩვენიანებს გამჯდარი. შუხუთში სწორედ ლელობურთში დიდი ჩემპიონატები ტარდებოდა. ადრე მარტო შუხუთელები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ახლა მათ ნიგოითელები და ლანჩხუთელები დაემატნენ. რატომღაც მგონია, ქართული სული და გენი სპორტის ამ სახეობაში ყველაზე მეტად არის გამჟღავნებული. ბავშვობაში ხშირად მინახავს ეს შეჯიბრებები და პირველი ის ჩამებეჭდა გონებაში, როგორი ძალით ებრძოდნენ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს, მაგრამ ეს ვაჟკაცობის, კაცობის ჩარჩოებს არ სცილდებოდა. ეს იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო გაკვეთილები.

**● როგორ მდგომარეობაში დაგხვდათ რაიონი, შეძლებთ ამ ტრადიციების გაგრძელებას ან რაიმე სიახლის დანერგვას?**

— დასაწყისშივე მინდა გითხრათ, შუხუთის დიდი ლელობურთი წელს ივნისის დასაწყისში გაიმართა, ეს ასპარეზობა მომავლიდან ყოველ 26 მაისს ჩატარდება და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს მიეძღვნება. წელს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების გამო ვთქვით უარი ამ დღეს შეჯიბრების გამართვაზე და ივნისისთვის გადავიტანეთ.

შევძლებთ თუ არა ამ ტრადიციების გაგრძელებას? შევძლებთ, იმიტომ, რომ ლანჩხუთელთა დიდი იმედი მაქვს. ჩანაფიქრი ბევრია და, ალბათ, განვახორციელებთ კიდეც.

რაიონში ცუდი მდგომარეობა ნამდვილად არ დამხვედრია, ამიტომ წვრილმანი წინააღმდეგობებისა არ მეშინია.

**● წლების განმავლობაში ლანჩხუთის „გურია" საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული ფეხბურთელებით თამაშობს. ამის მიზეზი ალბათ კეთილმოწყობილი ბაზების უქონლობაც იყო. დღესდღეობით რა მდგომარეობაა რაიონში ამ მხრივ?**

— ლანჩხუთის „გურიას" ჩვენი თანადგომის იმედი ყოველთვის ჰქონდა და დღესაც უნდა ჰქონდეს, მაგრამ, ალბათ, არ მიწყენენ ბიჭები, თუ ვიტყვი, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ „ჩიბათი-გურია II" ს. ეს გუნდი „გურიას" მომავალია და სწორედ აქ გაზრდილმა ბიჭებმა უნდა დაიცვან შემდგომ მისი ღირსება.

რაც შეეხება ბაზებს, „გურიის" ბაზა აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ასევეა „გურიის" ცენტრალური სტადიონი, თუმცა სათადარიგო მოედანზე, სადაც „ჩიბათი" თამაშობს, ტრიბუნები უნდა დავამატოთ. გუნდის პრეზიდენტი ამირან წილოსანი მონდომებული კაცია და ამ საქმეს ადვილად გავართმევთ თავს.

კარგად მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ფეხბურთი ლანჩხუთელთათვის, ამ სიყვარულის წყალობით არის, თითქმის ყველა სოფელი კარგი სტადიონით რომ იწონებს თავს.

რაც შეეხება სხვა ბაზებს, სუფსის მარცხენა ნაპირზე, ურეკსა და მდინარეს შორის ბალახის ჰოკეის მოედნის მოწყობა გვინდა. ლანჩხუთელები საქართველოში ამ სახეობის დანერგვის ერთ-ერთი თაოსნები იყვნენ, ტრადიციის დაკარგვა არ შეიძლება.

ქალაქშიც ბევრი რამ არის ამ მხრივ გასაკეთებელი. მახსოვს, ჩემს ბიჭობაში, ქალაქის პირველობაზე რომ ვთამაშობდი ხელბურთს, შეჯიბრებები ძალიან კარგ დარბაზში იმართებოდა, შეიძლებოდა ამ დარბაზის მოვლა და დღემდე მოტანა, მაგრამ დაანგრიეს და იქ ჯერ რაიკომი წამოჭიმეს, დღეს კი პრეფექტურაა. ასეთი დარბაზი კვლავ უნდა ავაშენოთ რაიონის ცენტრში.

**● ბატონო მერაბ, დასამალი არაფერია — ადრე რაიონის ხელმძღვანელობა „თავისი" ხარჯებით ინახავდა გუნდს, იმისათვის, რომ ფეხბურთელს ორიოდე კაპიკი ჰქონოდა, სადმე აფორმებდნენ და პროფესიონალ კაცს მოყვარული ერქვა, ვითომ მისი ძირითადი საქმიანობა სხვა იყო. ახლა დროც შეიცვალა და მდგომარეობაც, სპორტსმენებს პროფესიონალებს ვეძახით და მათ შემნახველებს — სპონსორებს. „გურიაც", ალბათ, ასეა...**

— „გურიას" საკმაოდ ძლიერი სპონსორი ჰყავს — ჩაის ფაბრიკა, აგროკომბინატი „თაიგული". ამ კომბინატის გენერალური დირექტორი ანზორ კილაძე ფეხბურთზე სთაცრად შეყვარებული კაცია და, ბუნებრივია, გუნდიც წარმატებული თამაშით ახარებს თავის სპონსორს. მეცენატისა და სპორტის ასეთი დამოკიდებულება სპორტსმენისთვისაც მომგებიანია. ეს გზა ჩვენთვის ახალია და შეიძლება ახლა გვეხამუშებოდეს კიდეც, მაგრამ, ასე მგონია, ქართული სპორტის მომავალი სწორედ ასეთმა მეცენატებმა უნდა ააღორძინონ. უბრალო მაგალითი ავიღოთ — საზღვარგარეთ ხომ ვერც ერთი გუნდი ვერ ინახავს თავს მაყურებლით, იქაც ამ საქმეს სპონსორი უძღვება. ამიტომ გასაკვირი არაფერია, ჯობს გულახდილად ვაკეთოთ ყველაფერი, ვიდრე ყალბი დოკუმენტებით ვუხადოთ ხელფასი ვითომდა „მოყვარულ" სპორტსმენებს.

**● ახლა, როგორც გრიგოლეთელ კაცს, ისე მინდა გკითხოთ, საქართველოს შავი ზღვისპირეთში ეს სოფელი ეკოლოგიურად ყველაზე სუფთად ითვლება, გეოგრაფიული მდებარეობაც ხელს უწყობს, რომ ერთ-ერთ საუკეთესო დასასვენებელ ადგილად იქცეს. მახსოვს, შარშან ქართველი „ავლანელები" აპირებდნენ იქ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობას. თუ გაქვთ რაიმე მსგავსი ჩანაფიქრი?**

— ქართველი „ავლანელების" და ჩემი აზრი ერთმანეთს დაემთხვა, მათ უკვე დაიწყეს „გურიის" ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა. იდეა საინტერესოა, ფიქრობენ პატარა აეროდრომი მოაწყონ და ვერტმფრენებით ბახმაროში გადაიყვანონ ხოლმე. ეს, ალბათ უცხოელებსაც მიიზიდავს და შესაძლოა, რესპუბლიკას ვალუტაც შემოუვიდეს.

წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით გრიგოლეთში კოტეჯები აშენდა, რომელიც წელს უცხოელ ჟურნალისტებს მოემსახურება. გაისად ეს კოტეჯები დასასვენებლადაც შეიძლება გამოვიყენოთ. მოკლედ, გრიგოლეთს მალე ვაქცევთ საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო კურორტად.

**● ლანჩხუთელი გულშემატკივარი კორექტულობითაც გამოირჩევა, თუმცა შარშან ერთი უსიამოვნო ინციდენტი მოხდა „ქუთაისთან" შეხვედრის შემდეგ. ქუთათურებმა, გულშემატკივართა უხეირო საქციელისათვის საკმაოდ მწარედ გადაუხადეს სამაგიერო „გურიის" ფეხბურთელებს. წელსაც შიშობდნენ, ლანჩხუთის გუნდი ქუთაისში რომ უნდა ჩასულიყო, ვაითუ შარშანდელი განმეორდესო...**

— ყველაზე მეტად მე ვშიშობდი. როგორც რაიონის პრეფექტს, მევალება კიდეც ფეხბურთელების მორალური მხარდაჭერა. წელს გავყევი გუნდს ქუთაისში მატჩზე. ვფიქრობ, ბიჭებმა დაინახეს, რომ ყურადღებას ვაქცევ და მათ გვერდით ვარ.

მე მესმის მათი, მესმის პროფესიონალების, ამიტომ ვპირდები, ვიდრე ითამაშებენ, მხარში დგომას არ მოვაკლებ, ხოლო როცა აქტიურ სპორტს გამოეთხოვებიან, ყველანაირად დავეხმარები საცხოვრებელი პირობების შექმნაში.

**● სპორტის მიმართ ასეთი გულითადი დამოკიდებულება ალბათ თქვენმა ყმაწვილობისდროინდელმა გამოცდილებამაც განაპირობა. შვილებს თუ ურჩევთ თქვენს კვალს გაჰყვნენ?**

— ორი შვილი მყავს, თოთხმეტი წლის გიორგი და შვიდი წლის გოგონა თამარი. ვაჟი კარატეზე დადიოდა, დავით თევზაძესთან ვარჯიშობდა და საკმაოდ გამოიწრთო კიდეც. ქალიშვილი, ვნახოთ, საით ირჩევს წასვლას. ჩემთვის სულერთია, მთავარია სხეული გაიჯანსაღონ და სპორტის იმ სიკეთეს ეზიარონ, ამხელა კაცს დღესაც თან რომ მდევს.

**ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი.**



# SOS აღარც მოედანი, აღარც გარაჟები, გულო, გაუძელ ტკივილს...

**დიდხანს „იგერიებდა" ავტომანქანების მფლობელთა „შემოტევას" მიცკევიჩის ქუჩის დასაწყისში (№ 17-ში) მდებარე კალათბურთის მოედანი. რა თქმა უნდა, არავის უფიქრია, რომ აქ დიდი მოთამაშე გაზრდილიყო, მაღალი კლასის სპორტსმენის მომზადებას სულ სხვა საწვრთნელი პირობები უნდა. ამიტომ ამ მოედანს, რომელიც 85-ე საბინაო-საექსპლოატაციო უბნის ბალანსზეა, ასეთ ფუნქციას არავინ დააკისრებს. იგი ახლო-მახლო მცხოვრებ გოგო-ბიჭებისთვის და არამარტო მათთვის — მოზრდილებისთვისაც, მხოლოდ მუხლის გასაშლელი იყო. მოედნის ირგვლივ მწვანე ხეივანი ნამდვილი ოაზისივით ალიქმებოდა დილის ვარჯიშის მოყვარულთათვის, სხვათა შორის, ბოლო დროს მათი რიცხვი უფრო და უფრო მატულობდა. მაგრამ... აქ გარაჟების ჩადგმა გადაწყვიტეს.**



**— დამშვიდდით, — განუცხადეს გაოგნებულ მოვარჯიშეებს მომავალი გარაჟის პატრონებმა. არ დაგვივიწყებიხართ, გარაჟების ბანი თქვენს განკარგულებაში იქნება, ღმერთმა ჯანმრთელობაში მოგახმაროთ, ივარჯიშეთ რამდენიც გენებოთ. მოვარჯიშეებმაც უკან დაიხიეს. მაგრამ უკვე ნახევარი წელი გავიდა, ივარქმნილ მოედანზე კი სრული უკაცრიელობა და სიმყუდროვეა დასადგურებული და წამოწყებულ სამუშაოს დამთავრების პირი არ უჩანს. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ საქმის მოთავენი, როდემდე გაგრძელდება ასეთი განუკითხაობა?**

**და კიდევ, ვთქვათ, მშენებლებმა და მანქანის პატრონებმა პირი არ გატეხეს — გარაჟი და მასთან ერთად აღთქმული მოედანიც მწყობრში ჩადგა. რამდენად შეესაბამება მაშინ ეს მოედანი იმ სანიტარულ ნორმებს, რომელზეც ნებადართულია ვარჯიში. ერთდროულად 20-25 მანქანის გამონაბოლქვი ხომ „წალეკავს" იქაურობას... საინტერესოა, რას იტყვის ქალაქის სანეპიდსადგური, რომელიც, სხვათა შორის, ამავე ქუჩაზე მდებარეობს?**

# გახსოვდეთ დაღუპულები!

**ეს შეჯიბრება მიეძღვნა სამაჩაბლოში ტრაგიკულად დაღუპული ქართველი ხელბურთელის ხსოვნას.**

**9 ივნისს** საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „ქარიშხალის" ოსტატ ხელბურთელთა გუნდის ყოფილ წევრს გია ბუბუტეიშვილს 33 წელი შეუსრულდებოდა...

სწორედ ამ დღეს გაიმართა ამ ნიჭიერი ხელბურთელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის ფინალი, რომელსაც რუსთავმა უმასპინძლა. აქ საასპარეზოდ შეიკრიბნენ თბილისის, ბათუმის, თელავისა და რუსთავის ვეტერანთა გუნდები. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისელი და რუსთაველი ხელბურთელები. მასპინძლებმა შეძლეს ძნელი გამარჯვების მოპოვება (29:27) და საპატიო პრიზს დაეუფლნენ.

**თამაზ საჯაია,**
**სპორტის ოსტატი.**

# როდის უფრო ფასობს ჩემპიონობა?

(დასასრული)

**● გამოდის, რომ სოფიკომ წაუგებლად ითამაშა.**

— დიახ! ასევე დაუმარცხებლად იასპარეზა თოთხმეტწლიანებში თბილისის 174-ე სკოლის მერვეკლასელმა მაია ლომინეიშვილმა. თვრამეტ წლამდე ასაკის გოგოებში რესპუბლიკის ჩემპიონმა, თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა. მისი დაწევა დიდხანს ვერავინ შეძლო. მას მე ვავარჯიშებ. ყველა ნიუანსს ვითვალისწინებდით და, როცა დავრწმუნდით, ჩემპიონობა განაღდებული იყო, თავს ერთგვარი მოდუნების უფლება მისცა. საბოლოოდ მაიამ 6,5 ქულა მოაგროვა, იმდენივე, რამდენიც მასპინძლებმა — მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა პეპტანმა და სანდუმ. სანდუსთან მაია ყაიმზე შეთანხმდა (რამაც რუმინელს მეორე ადგილი მოუტანა), პეპტანი კი დაამარცხა.

**● საბოლოოდ, რამ განაპირობა ლომინეიშვილის ჩემპიონობა?**

— პირველ ყოვლისა, მისმა მობილურმა თამაშმა და იმანაც, რომ ლიდერობა ხელიდან არ გაუშვია. საქმეში კოეფიციენტთა ცხრილიც რომ ჩარეულიყო, მაია მაინც „ოქროს" მიიღებდა. დავუმატებ, რომ სოფიკო ტყეშელაშვილმა და მაია ლომინეიშვილმა შეასრულეს ფიდე-ს ოსტატის ნორმატივი.

**● ბატონო გიორგი, თექვსმეტწლიანების ტურნირზე რას იტყვით?**

**ვიცით, რომ ამ ასაკში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი დიანა დარჩია გამოდიოდა.**

— მას ასაკის მიხედვით თოთხმეტწლიანებში უნდა ესასპარეზა, მაგრამ ორი წლით უფროსებს შეეჭიდა და უმედლოდ დარჩა.

**● რა მისცა ჩვენს გოგოებს ევროპის პირველმა ჩემპიონატმა?**

— ოქროს მედლები და რწმენა, პოლონეთის მსოფლიო ჩემპიონატების საგზურები და, როგორც უკვე ვთქვით, ოსტატთა წოდება.

**● ვულოცავთ მათ ამ წარმატებას. რაკი სიტყვა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩამოვარდა, წელს კიდევ ორ უფროს ასაკში უნდა გაიმართოს ამ რანგის ბრძოლები. თუ იცით სად?**

— თვრამეტ წლამდე ქალიშვილებისთვის ტურნირი ბრაზილიაშია დაგეგმილი და იქ თეა ლანჩავა გაემგზავრება. ოც წლამდე მოჭადრაკეებს შორის ჩილეში გამოვლენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი დიდოსტატი ქეთინო კახიანი და ოსტატი ნათია ჯანჯღავა, კახიანი იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო ჩემპიონატი არ დაემთხვევა იუგოსლავიის საკლუბო გუნდების პირველობას — ქეთევანს ამ ქვეყნის ერთ-ერთ კლუბთან დადებული აქვს კონტრაქტი და მისი ინტერესების დაცვა მოუხდება.

**● უკანასკნელი კითხვა, რომელიც სპორტის სფეროს არ ეხება. როგორი პოლიტიკური ვითარებაა რუმინეთში და რა იციან იქ საქართველოს რესპუბლიკის შესახებ?**

— რუმინეთში მდგომარეობა სტაბილური გახდა. საქართველოში მომხდარი თუ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისადმი ერთობ დიდ ინტერესს იჩენენ. ჩვენ იქ სწორედ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების დროს გახლდით. ადგილობრივი ტელეგადაცემები ახალი ამბების გამოშვებაში გარკვეულ ადგილს უთმობდნენ ამ თემას. კერძოდ, ოცდაექვსში, დილით, ისაუბრეს ბატონ ზვიად გამსახურდიას, როგორც პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატის შესახებ. საღამოს აჩვენეს თუ როგორ აძლევს ხმას ბატონი ზვიადი, უფრო გვიან გამოაცხადეს არჩევნების წინასწარი შედეგები...

**ესაუბრა**
**ოთარ ბელაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამედროვე ოლიმპიადები — პირველიდან ოცდამეხუთემდე

## ომი და მშვიდობა

**XII ოლიმპიადას** იმდენი „ხელისმაძიებელი“ ჰყავდა, რომ სოკ-მა ვერც კი განიხილა ზეირიანად ყველა კანდიდატის პრეტენზიები. თამაშების ორგანიზაციის უფლებას ერთმანეთს ეცილებოდნენ ტოკიო და ჰელსინკი, რომი და ბარსელონა, ბუდაპეშტი და ტორონტო, მონრეალი და რიო-დე-ჟანეირო. ბოლოს არჩევანი მეტ-ნაკლებად უფრო რეალურ კანდიდატებზე — ტოკიოსა და ჰელსინკზე შეჩერდა და დელეგატებსაც მათზე მოუხდათ დავა.

თავდაპირველად ჰელსინკის საქმეები მიდიოდა უკეთ, მაგრამ მერე და მერე ტოკიომ იმძლავრა და კენჭისყრაზე ცხრა ხმით მეტი მიიღო. იაპონელებმა მყისვე, მათთვის ჩვეული ოპერატიულობით გამოაცხადეს ოლიმპიადის საზეიმო გახსნის დღე და საათი —1940 წლის 21 სექტემბერი, 18 საათი. მაგრამ ამ დროისთვის მსოფლიოში იმდენი გაუგებარი რამ მოხდა, რომ ოლიმპიადა აღარავის გახსენებია. ჯერ იყო და, იაპონიამ გაოცებული სამყაროს თვალწინ მოურიდებლად შთანთქა უმწეო და დაუცველი მანჯურია. ტოკიომ, ცხადია, დაკარგა ყოველგვარი უფლება ოლიმპიადაზე, მათ შორის მორალურიც და იგი ავტომატურად მეორე კანდიდატს ჰელსინკს გადაეცა.

თუმცა... სპორტის „დღეები უკვე დათვლილი იყო. მსოფლიო მეორე ტოტალური ომის ქარცეცხლში გაეხვია და დიდი ხნით გამოეთხოვა მშვიდობიან ცხოვრებას.

მეორე მსოფლიო ომის მიზეზით არ შედგა არც XII და არც მომდევნო, XIII ოლიმპიადები. ნახევარი საუკუნის მანძილზე ომმა სამჯერ „დამარხა“ ოლიმპიადა და სამჯერვე მოახერხა მან მკვდრეთით აღდგომა. პირველად ჩაიშალა ბერლინის VI თამაშები (1916 წელი), მეორედ — ჯერ ტოკიოს, მერე კი ჰელსინკის XII თამაშები (1940 წელი), მესამედ კი ლონდონის XIII ოლიმპიადა (1944 წელი).

ომი ახალი დამთავრებული იყო, ბრიტანეთის ოლიმპიურმა ასოციაციამ მომდევნო თამაშების ორგანიზაცია რომ ითავა. ლონდონის ინიციატივას უყოყმანოდ დაუჭირა მხარი მსოფლიომ, ვინაიდან სხვა ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ იკისრა თამაშების ორგანიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება. XIV ოლიმპიადა ბერლინის თამაშებიდან 12 წლის შემდეგ გაიხსნა. ეს მოხდა 1948 წლის 29 ივლისს (დაიხურა — 14 აგვისტოს).

ამ ხნის მანძილზე საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში ბევრი ცვლილება მოხდა. 1937 წელს გარდაიცვალა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი პიერ დე კუბერტენი. მას შემდეგ სოკ-ის პრეზიდენტი და ოლიმპიური მოძრაობის თავკაცი იყო ჯერ ბელგიელი ა. დე ბაიე-ლატური, მერე კი (უშუალოდ ლონდონის ოლიმპიადის პერიოდში) შვედი ი. ს. ედსტრიომი. ახალმა ხელმძღვანელობამ მკაცრი კონტროლი დააწესა ოლიმპიადის ჩამტარებელ ქალაქთა შერჩევის პროცედურაზე. ეს კონტროლი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საჭირო იყო იმისთვისაც, რომ ბერლინის მწარე მაგალითი აღარასოდეს განმეორებულიყო. ლონდონმა წარმატებით გაიარა „შემოწმების“ ყველა წინასწარი ინსტანცია და შეუდგა თამაშებისთვის მზადებას, თანაც კატეგორიული უარი უთხრა მოპატიჟებაზე მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებლებს — გერმანიასა და იაპონიას.



XIV ოლიმპიური თამაშების საუკეთესო სპორტსმენი, „მფრინავი ჰოლანდიელი“ ფანი ბლანკერს-კოენი, რომელიც ლონდონში ოთხი ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა და პირადად ამ კომიტეტის თავმჯდომარემ, 1928 წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა ლორდ დ. ბერგლიმ მიზნად დაისახეს სტუმრებისთვის მაქსიმალურად საუკეთესო პირობების შექმნა. ეს, რა თქმა უნდა, კეთილშობილური სურვილი იყო, მაგრამ ომისშემდგომი პერიოდის სიძნელეები ყოველ წუთს და ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა.

საოცრად ძნელი აღმოჩნდა მონაწილეთა მიღება-დაბინავება. კვების საკითხის მოწესრიგება, ოლიმპიელთა უკან სამშობლოში გამგზავრება.... არნახულად მოიკიდა ფეხი ყველა სახის სპეკულაციამ, განსაკუთრებით ბილეთებით ვაჭრობამ. შავ ბაზარზე დასაჯდომი ბილეთი 5 გირვანქა სტერლინგად იყიდებოდა. 10 შილინგზე (იმ პერიოდში 10 შილინგი 10 ოქროს მანეთს უდრიდა) იაფი ბილეთი საერთოდ არ არსებობდა. ალბათ ამიტომ, ლონდონის ოლიმპიადამ ორგანიზატორებს 200 ათასი გირვანქა სტერლინგი წმინდა მოგება მოუტანა, რაც მაშინდელი მასშტაბებით არნახულად დიდი თანხა იყო.

ოლიმპიადა გახსნა და აკურთხა მეფე გეორგ VI. მონაწილეებს მიესალმა და წარმატებები უსურვა პრემიერ-მინისტრმა კლემენტ ეტლიმ. საზეიმო ცერემონიალი დასრულდა იორკის არქიეპისკოპოსის შთაგონებული სიტყვებით. ყველაფერი ეს წმინდა ინგლისურ სტილში დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა, რომელმაც მოხიბლა მაყურებელი, პირველ ყოვლისა, მოქმედ პირთა სახელებით, ავტორიტეტითა და ტიტულებით.



ოლიმპიური ჩირაღდანი „უემბლის“ სტადიონზე.

ოლიმპიადის გახსნა (მონაწილეობდა 59 ქვეყნის 4099 სპორტსმენი, მათ შორის 385 ქალი) მართლაც გემოვნებით იყო ჩაფიქრებული და მან თავიდანვე კეთილად განაწყო მონაწილენი, სამწუხაროდ, თამაშების სპორტულ ნაწილს აშკარად აკლდა ბრწყინვალება. მართალია, რეკორდების ცხრილში გარკვეული შესწორებები მოხდა, მაგრამ მათი საერთო დონე ერთობ დაბალი იყო და უკვე დამკვიდრებულ ზრდის ტენდენციას არ შეესატყვისებოდა.

და მაინც, სწორედ ლონდონის XIV ოლიმპიადაზე დაიწყო თანამედროვეობის ბევრი შესანიშნავი სპორტსმენის კარიერა. ლონდონში გაიცნო ქვეყანამ ამერიკელი ათჭიდელი რობერტ (ბობ) მათიასი, ბევრი სხვა უცხოელი სპორტსმენი, მაგრამ XIV ოლიმპიადის საუკეთესო მონაწილის გვირგვინი სამართლიანად მიეკუთვნა „მფრინავ ჰოლანდიელს“ — ფანი ბლანკერს-კოენს, რომელმაც ოთხი ოლიმპიური ოქროს მედალი დაიმსახურა 100, 200 მეტრზე რბენაში, ესტაფეტაში 4X100 და 80 მეტრზე თარჯრბენში.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ადგილები და მედლები ამჯერად ასე განაწილდა:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| აშშ | 38 | 27 | 19 |
| შვეცია | 16 | 11 | 17 |
| საფრანგეთი | 10 | 6 | 13 |
| უნგრეთი | 10 | 5 | 12 |
| იტალია | 8 | 11 | 8 |
| დიდი ბრიტანეთი | 3 | 14 | 6 |

როგორ ხართ, ძველო მეგობრებო!

# „კალევი“ გზაჯვარედინზე

**ბალტიისპირეთში** აღმერთებენ კალათბურთს. ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში კალათბურთი სპორტის ნომერი პირველი სახეობაა. ბალტიისპირეთში კალათბურთის სიყვარულს დიდი ხანია გაუდგამს ფესვები. სწორედ აქაურებმა გაიმარჯვეს მეორე მსოფლიო ომამდე გამართულ სამივე ევროპის ჩემპიონატში: 1935 წელს ჩემპიონები გახდნენ ლატვიელები, 1937 და 1939 წლებში — ლიტველები. მაშინ ეს რესპუბლიკები დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყვნენ. საბჭოთა კავშირში „ნებაყოფლობით“ გაერთიანების შემდეგ ბალტიისპირელებმა ბევრი რამ დაკარგეს, გარდა საკალათბურთო ძალისა. 40-50-იან წლებში ხშირად იმარჯვებდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში. 1947 და 1951 წლებში ჩემპიონები გახდნენ კაუნასის გუნდები: სკიფ-ი და „ჟალგირისი“, 1949 წელს — უსკ-ა (ტარტუ); 50-იანი წლების მეორე ნახევარში ერთხელ მოიპოვეს „საკავშირო“ ოქროს მედლები და ევროპის ჩემპიონთა თასი რიგის არმიელებმა. შემდეგ კი დადგა მოსკოვის არმიელთა „დიქტატურის დრო“ — ცსკა-ს შემადგენლობაში ხომ საბჭოთა კავშირის ნაკრების თითქმის ყველა წევრი გამოდიოდა, მათ შორის, ბალტიისპირელი კალათბურთელებიც. გავიხსენოთ იაკ ლიპსო, ჰენო ენდენი, იგორ მიგლინიეკსი. არვიდას საბონისის გამოჩენით 80-იან წლებში „ჟალგირისმა“ აღიდგინა ძველი ძლიერება. ახლაც, 42 წლის შესვენების შემდეგ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები არიან ესტონელი კალათბურთელები.

რა თქმა უნდა, „კალევმა“ იყოჩაღა — პატარა რესპუბლიკის წარმომადგენელთათვის ცსკა-სთან, მოსკოვის „დინამოსთან“, ლენინგრადის „სპარტაკთან“, უკრაინის გუნდებთან თამაში, ცხადია, იოლი არ გახლდათ. მაგრამ ეს არ გახლავთ მთავარი. აქვს თუ არა მომავალი დღევანდელ „კალევს“? საბჭოთა კალათბურთის კლასი არაერთი კალათბურთელის ნბა-ში, დასავლეთ ევროპის გუნდებში გადასვლით და, რაც მთავარია, ლიტვის გუნდების: „ჟალგირისისა“ და „სტატიბას“ საკავშირო ჩემპიონატიდან გამოსვლით რომ აშკარად დაეცა, ეს ფაქტია. ალბათ, საკმარისია აღვნიშნოთ ისიც, რომ 1949 წლის შემდეგ საბჭოთა ნაკრები პირველად ვერ მოხვდა ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. თუმცა „კალევმა“ გაიმარჯვა საკავშირო ჩემპიონატში, ეს გუნდი თავის მომავალს მაინც არ უკავშირებს ამ ტურნირს. შემთხვევითი არ იყო, რომ საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ესტონელთა მწვრთნელმა იაკ სალუმეტსმა კონტრაქტი გააფორმა ფინელებთან. იგი ვერ შეაბრკოლა ევროპის ჩემპიონთა თასის ტურნირში მონაწილეობის პერსპექტივამაც. მას ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ „კალევს“ ახლა არც საკავშირო ჩემპიონატში და არც ევროპის ჩემპიონთა თასზე პერსპექტივა არ გააჩნია. საკავშირო ჩემპიონატი მეორეხარისხოვანი შეჯიბრება გახდა, ძლიერ მეტოქეებთან პაექრობის საშუალება მოისპო. გუნდის შემადგენლობა გადასახალისებელია, მაგრამ ვალუტის გარეშე უცხოელ სპორტსმენებს ვერ მოიწვევ, საბჭოთა კავშირში კი მაღალი კლასის კალათბურთელები პრაქტიკულად აღარ არიან. იმიტომაც გაემგზავრა სალუმეტსი ფინეთში. უფრო ადრე იგივე გააკეთა „კალევის“ ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ მარგუს მესტაკმა.



აივარ კუუსმა

მართალია, „კალევმა“ მიიღო მიწვევა ევროპის პროფესიული ლიგის დამფუძნებელთაგან, მაგრამ ესტონეთის გუნდს მათ მხოლოდ 100 ათასი დოლარი შესთავაზეს წელიწადში. არადა, როგორ უნდა შეინახო გუნდი, რომელმაც გამუდმებით უნდა იმოგზაუროს ევროპაში მატჩების ჩასატარებლად? ამ თანხით გუნდის ბირთვსაც ვერ შეინარჩუნებ.

არის მეორე, უფრო ხელსაყრელი წინადადება. შეგახსენებთ, რომ ამერიკელ ბიზნესმენთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა ჩამოაყალიბოს კალათბურთის გლობალური ლიგა, რომელში გამოსვლაზე თანხმობა უკვე განაცხადეს ამერიკის ოთხმა გუნდმა (კაროლინის შტატიდან) და ერთმა იტალიის კლუბმა. „კალევს“ შესთავაზეს 250 ათასი დოლარის კრედიტი საწევროს შესატანად და ამდენივე წლიურად ტურნირში მონაწილეობისათვის. „კალევმა“ კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა: გლობალური ლიგის დამფუძნებლებს სურთ, პირველ ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღოს სულ ცოტა 8 გუნდმა — ოთხმა ამერიკიდან და ოთხმაც ევროპიდან, მაგრამ ორ კლუბს — ესპანეთიდან და საბერძნეთიდან — მონაწილეობაზე თანხმობა ჯერ არ განუცხადებია. ბიზნესმენები ასპარეზობის დაწყებას ექვსი გუნდით ჯერ არ აპირებენ და, შესაძლოა, ლიგის შექმნა კიდევ ერთი წლით გადაიდოს. ერთი წლის შემდეგ კი დღევანდელი „კალევი“ იქნებ აღარც იყოს.

„კალევთან“ კონტრაქტის ვადა დაუსრულდა სერგეი ბაბენკოს — მას ელის მიწვევა შვეციიდან. მოისურვებს კი იგი დაიცადოს ერთი წელი? კლუბის ორ სხვა საუკეთესო მოთამაშეს — ოლიმპიურ ჩემპიონს ტიიტ სოკს და აივარ კუუსმასაც აქვთ შესაძლებლობა, გააფორმონ კონტრაქტები შვეციაში. რას შეუძლია მათი შეჩერება? პერსპექტივას, საბჭოთა ნაკრების სახელით იასპარეზონ ბარსელონის ოლიმპიადაზე? არადა, ცხადზე უცხადესია, რომ საბჭოთა ნაკრებს ლიტველების — საბონისის, მარჩიულონისის, კურტინაიტისის, ხომიჩუსის გარეშე არ შეუძლია წარმატებით გამოსვლა. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ნბა-ს პროფესიონალებს დართეს ნება იასპარეზონ ოლიმპიადაზე, ამით კი გაძლიერდებიან არა მარტო ამერიკის, არამედ იუგოსლავიის, გერმანიის და სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდები. ერთი სიტყვით, გლობალური ლიგის გარეშე დღევანდელი „კალევი“ ვერ იარსებებს, ყოველ შემთხვევაში, საკავშირო ჩემპიონატი კარგავს კიდევ ერთ (საბოლოოს ხომ არა?) თვითმყოფად გუნდს. თუ გლობალური ლიგა სტარტს აიღებს წელს, შემოდგომით, მაშინ „კალევი“ მალე მიიღებს დანაპირებ 250 ათას დოლარს და ივლისში შეძლებს მონაწილეობა მიიღოს ევროპულ დრაფტში (მოთამაშეთა ყიდვა-გაყიდვაში) მყიდველის როლში, თუ არადა, ჯერჯერობით გასაყიდი მოთამაშეები კიდევ ჰყავთ. ჯერჯერობით...

**ზურაბ ტაბატაძე**

ლემბერტ პეეგელის ფოტოები.



ტიიტ სოკი



იაკ სალუმეტსი

# 10 დაღუპული, 128 დასახიჩრებული

**სამხრეთ** ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ამას წინათ გაიმარჯვა ჩილეს „კოლოკოლომ“. ასეთ წარმატებას ჩილელმა ფეხბურთელებმა პირველად მიაღწიეს და ამიტომაც რა გასაკვირია ის დიდი ზეიმი, რომელიც აქაურმა გულშემატკივრებმა მოაწყვეს. მაგრამ სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, „ფიესტამ“ ყოვლად დაუშვებელი ფორმები მიიღო. სიხარულისა და ემოციების თავშეუკავებელი გამოვლენის დროს მოხდა ის, რომ 10 კაცი დაიღუპა და 128 დასახიჩრდა, გარდა ამისა, ჯერ მარტო სანტ-იაგოში დაპატიმრებულია 188 ხულიგანი, რომლებსაც მძიმე დანაშაული ედებათ ბრალად.

# გენერალური მდივნები და სპორტი

(დასასრული)

დაატოვებინეს კონსტანტინე ბესკოვს, — როგორ თუ გუნდს „დიქტატორ ფრანკოს“ ქვეყნის გუნდთან წააგებინეო! ზუსტად იგივე მოხდა, რაც 1952 წელს, ერთადერთი იყო განსხვავება, — მაშინ რენეგატი ტიტოს ქვეყნის წარმომადგენლებს გაამარჯვებინეს!

ენაკვიმატმა მოსკოველებმა ბრეჟნევის არაგულგრილი დამოკიდებულება სპორტისადმი რა უწყოდნენ, ანეკდოტიც შეთხზეს: „საღამო ხანს ლეონიდ ილიას ძე თავის სამუშაო კაბინეტში „მუშაობს“ წიგნზე — „ყამირი“. მას „თავის“ წიგნს უკითხავს ავტორი. დაცვის მუშაკები კი ამ დროს მისაღებში ტელეეკრანით უყურებენ საბჭოთა კავშირ-კანადის პროფესიონალ ჰოკეისტთა შეხვედრას. ერთხმად გაიძახიან: „შაიბუ“! შაიბუ!“ — დერეფნიდან მოტანებული დაცვის მუშაკთა ჟრიამულის ხმა კი ხელს უშლის გენერალურ მდივანს „თავისი“ დიდებული ნაწარმოების მოსმენისას. იგი ჰკრებს სამთავრობო ტელეფონის ნომერს და რეკავს ლუჟნიკებში: „შაიბუ!“ რამდენიმე წუთის შემდეგ ტელევიზორიდან ისმის ნიკოლაი ოზეროვის ხმა: „არის გოლი“!

უამრავ ორდენთა და ჯილდოთ მფლობელს ბრეჟნევს მხოლოდ სპორტის დამსახურებული ოსტატისა და დამსახურებული არტისტის წოდება არ მიუღია. მაგრამ, ვინ იცის, დასცლოდა, იქნებ ლეონიდ ილიას ძისათვის არც ზემოთ ნახსენები ტიტულები ყოფილიყო უცხო ხილი. ალბათ ისიც მოგეხსენებათ, თუ რაგვარი რეაქცია აღძრა ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანამ. 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადას თითქმის მთელმა ნახევარმა სამყარომ პროტესტი განუცხადა.

იური ანდროპოვი სპორტს არც გაჰკარებია, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში სათავეში ედგა მძლავრ „კგბ“-ს ორგანიზაციას, რომლის მუშაობის მეთოდები განქვეყნებულია. მრავალ სპორტსმენს ეკრძალებოდა საზღვარგარეთ გასვლა, ხოლო თუკი ვინმე მაინც ახერხებდა გარეგაღწევას, „კომშარში“ დაბრუნება აღარც ეხალისებოდა, გინდაც ცნობილი მოციგურავეები თქვი: ბელოუსოვა და პროტოპოპოვი და ჭადრაკის სამყაროში სახელმოხვეჭილი ვიქტორ კორჩნოი.

კონსტანტინე ჩერნენკო წარმოშობით იქაური იყო, სადაც სათხილამურო სპორტი დიდად პოპულარულია, მაგრამ მისი სუნთქვის პატრონი, ცხადია, თხილამურებით გასეირნებაზე ცოტა მწყრალად იქნებოდა. თუმც მაინც შეძლო სპორტში „ეთქვა“ გადამწყვეტი სიტყვა: 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენები არ ჩასულან.

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი მხოლოდ ერთხელ იხილეს მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე. — კეთილი ნების თამაშთა გახსნის დღეს. იგი სპორტსმენთა პირად ცხოვრებაში ჯერჯერობით თითქოსდა არ ერევა, პირიქით, ერთის შეხედვით თითქოსდა სპორტულ ფუნქციონერებს ხელ-ფეხი გაეხსნათ, მაგრამ „გორბაჩოვისეული დემოკრატია“ რა განიაზრეს, მწვრთნელებისა და სპორტსმენების ყულეფას იმგვარად მიჰყვეს ხელი, რომ ნულარ იტყვი. ამიტომაც, როგორც უწინ, დღესდღეობითაც სპორტსმენები საზღვარგარეთს აფარებენ თავს, როგორც ლეგალურად, ასევე არალეგალურად, მეორე გზას უფრო ხშირად ჰოკეისტები ირჩევენ — მოგილნი, ფიოდოროვი, გოდენიუკი... სამივე სპორტსმენი კანადის და აშშ-ს პროფესიულ კლუბთა ღირსებას უდგას.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, არც ერთი გენერალური მდივანი უშუალოდ სპორტს არ მისდევდა. განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებისაგან.

ზურაბ ტაბატაძე



# ონანოვის სასახლე — ბაღდათის ღვთისშვილთა კავშირს

ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში, ტყის სიღრმეში დგას სახლი, რომელიც ადრე ეკუთვნოდა მრეწველ ონანოვს და იქაურ მკვიდრთა მიერ იწოდებოდა „ონანოვის სასახლედ“.

ეს ჩინებული შენობა ამ კუთხის რაიკომის მდივანთა მიერ გამოყენებულიყო ქეიფისა და დროსგატარების ადგილად. ის გახლდათ ამ პირთა ქვენა გრძნობების გამჟღავნების ბუდე და ასპარეზი.

მერე იქ გაიხსნა სასტუმრო, რისთვისაც ეს ნაგებობა დიდად შესატყვისი ვერ გახლდათ.

ამ ბოლო ხანს კი იქ განთავსდა სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) ბაღდათის რაიონული ორგანიზაცია.

აქ შექმნეს ინვალიდებმა თავიანთი განცალკევებული საცხოვრებელი და სამოღვაწეო კუთხე.

ასოციაციამ დაისახა გეგმები. განზრახულია შეიქმნას სარეაბილიტაციო კომპლექსი, სადაც 1 ჯგუფის ინვალიდები გაივლიან ყოველწლიურად პროფილაქტიკის კურსს. ავადმყოფებს, რომელთაც ესაჭიროებათ სიარულის აღმდგენი პროცედურები, ქირურგი, ორთოპედი თუ ტრავმატოლოგი, ოპერაციები ჩაუტარდებათ საერთაშორისო მკურნალობის დონეზე. კომპლექსში იქნება აგრეთვე სტაციონარი თვალის მძიმე დაავადებათა მკურნალობისათვის.

ასოციაცია დაუკავშირდა სეპოს საზელობის კლინიკას ესტონეთში, სადაც საქართველოდან წარგზავნილნი იქნებიან ექიმები, მედდები, თუ ლაბორანტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სანაცვლოდ ამისა ვარციხის სასახლეც მიიღებს ესტონეთიდან ავადმყოფებს, რომელთაც ესაჭიროებათ სარეაბილიტაციო მკურნალობა, ზაფხულის სეზონში კი აქ დაისვენებს სეპოს კლინიკის პერსონალი.

ინვალიდთა კავშირი მოელაპარაკა შვედურ ფირმა „რეხბანდს“, რომელიც თანახმაა ააგოს აქ ელასტიურ საშუალებათა მწარმოებელი ფაბრიკა.

ასე რომ, ეს სახლი საკუთარ თავსაც შეინახავდა და სახელმწიფოსაც მისცემდა გარკვეულ მოგებას.

მაგრამ შენობა თვალში მოუვიდა ზოგ ორგანიზაციას და მათ მესვეურთ.

მაშინ მივმართეთ ზემდგომ ხელისუფლებას.

მადლობის მეტი რა გვეთქმის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ქ-ნ მანანა ძოძუაშვილის მიმართ, რომელმაც ასეთი დასკვნა გამოიტანა ჩვენი საკითხის გამო.

მოგვყავს ტექსტი:

„საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის და სოცუზრუნველყოფის სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ბაღდათის რაიონში, სოფელ ვარციხეში გაიხსნას ინვალიდთა რეაბილიტაციის ერთ-ერთი ცენტრი. ამასთან დაკავშირებით გთხოვთ ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში არსებული სასტუმროს შენობა, რომელიც იმყოფება ქ. ქუთაისის სასტუმროს გაერთიანების ბალანსზე, გადაეცეს სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირს (ინვალიდთა ასოციაციას) ბაღდათის რაიონული ორგანიზაციის ბალანსზე“.

ეს საბუთი გაეგზავნა ქალაქ ქუთაისის პრეფექტს ბატონ არჩილ კოსტავას, რომლის მიმართაც აგრეთვე სხვა არავითარი გრძნობა აღგვძრია გარდა მადლიერებისა, რადგან მას არაფერი აღმოაჩნდა ამის საწინააღმდეგო.

მაგრამ შემდეგ ისევ აირია მონასტერი. ვიყავით არაერთ დაბალ თუ მაღალ ინსტანციაში და, როგორც იტყვიან, ამაოდ დავშვრით. ბოლოს ჩვენი ასოციაცია მილიციის ორგანოებმა მაინც გამოაძევეს „ონანოვის სასახლიდან“.

ამჯერად გაზეთ „პრომეთეს“ ფურცლებიდან, ამ მითოლოგიური არსების დარად საძრაობა წართმეული ხალხი მივმართავთ როგორც ფართო საზოგადოებრიობას, ასევე ხელისუფლებას, რათა მხარი დაგვიჭირონ იმაში, რომ დაგვიბრუნდეს ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი და საჭირო საყუდარი.

ამირან დათუაშვილი,
სრულიად საქართველოს
ღვთისშვილთა კავშირის ბაღდათის
რაიონული ორგანიზაციის
თავმჯდომარე.

## ინფორმაცია-91



# ასპარეზობენ ინვალიდები

1990 წლის 29 მარტი. მძლეოსანთა პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნას დაესწრო გიორგი ძნელაძე, როგორც რიგითი გულშემატკივარი. ჟურნალისტებმა წამსვე იცნეს ინვალიდთა სპორტული ფედერაციის პრეზიდენტი და რამდენიმე კითხვით მიმართეს მას. გიორგი ძნელაძემ დიდი მოწონება გამოთქვა, დადებითად შეაფასა პირველი ეროვნული ჩემპიონატის დაწყება, მაგრამ იქვე დასძინა — ვერ დავფარავ, უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ესენი, — სტადიონზე თავმოყრილ მაყურებლებზე მიანიშნა, — ტაშს დაუკრავენ სარბენ ბილიკებზე მოასპარეზე ხეიბრებსო...

წელიწადზე მეტი გავიდა. ერთ დილას „ლელო-ში“ გამოქვეყნდა ცნობა სპორტის დეპარტამენტისა და მძლეოსნობის ფედერაციის ერთობლივი ღონისძიების თაობაზე — 25 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 63-ე წლისათვის წინა დღეს მძლეოსნურ გარბენს მართავდნენ თბილისში. იმ დღესვე დეპარტამენტის დირექტორს დაურეკა გიორგი ძნელაძემ, — ინვალიდი სპორტსმენებიც ჩაგვრთეთო ასპარეზობაში. საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დირექტორი კახი ასათიანიც გულისხმიერად მოეკიდა ინვალიდ სპორტსმენთა თავკაცის თხოვნას, ხელშეწყობასაც დაპირდა...

„13 კაცი მონაწილეობდა ჩვენგან შეჯიბრებაში, — ღიმილით ამბობს ძნელაძე — ზოგიერთმა 1700 მეტრი გაირბინა, ზოგიერთმა ფინიშამდე 5000 მეტრს მიატანა. გიორგი მამაცაშვილმა, დათო მათითაიშვილმა ყავარჯნებით გაიარეს დიდი მანძილი (გიორგის ორივე ფეხი წაკვეთილი აქვს) — კიდევ ერთი გაცხადება სულის მხნეობისა! პაატა გერმანიშვილს მარცხენა ხელ-ფეხი აქვს წართმეული, მაგრამ დისტანციას არც ის დარიდებია. კროსის უხუცესი მონაწილეც, ჩვენი ფედერაციის წევრი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მიხეილ ვარდიაშვილი გახლდათ, 5000 მეტრი უკან რომ მოიტოვა ასევე. ამრიგად პირველი ნაბიჯი გადადგმულია — ნაბიჯი ჯანმრთელთა რიგებში ინვალიდთა ინტეგრირებისა — თუმც სამწუხაროდ დღემდე გრძელდება განსაზღვრაგანკერძოება ამ ორი კატეგორიისა, მაგრამ ყინული გალღობილია და შინგამოკეტილ ინვალიდებსაც იმედი ჩაუსახა ამ პირველმა წამოწყებამ. ამიერიდან სახელმწიფოზე ჰკიდია ყოველივე. საქმეც ის არის, შეჭირვებული ქვეყანა მხარში ამოუდგეს მსგავსადვე შეჭირვებულ ხეიბრებს, თორემ დალხინებულ კაცს ქომაგიც აგრერიგად არა სჭირდება — დაასრულა გიორგი ძნელაძემ.

დიალოგში ორიოდ სიტყვა ჩაურთო ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა, თავადაც კროსის მონაწილე ალექსანდრე მამალაძემ — უწინ ბიჭებს ქუჩაში გასვლაც ერიდებოდათ, კროსში მონაწილეობაზე რომ არა ვთქვათ რა. დღეს კი, შეიცვლა ყოველივე, რიდი დასძლიეს, კომპლექსისაგან დაიხსნეს თავი, დარწმუნებული ვარ, ხალხის უკურეაქცია მოჰყვება მალე აღარავინ გაიოცებს ქუჩაში ეტლიან ხეიბართა გამოჩენას...

ჭეშმარიტად ასეა, რამეთუ ასეთი არის ბუნება ქართველი კაცისა.

ლევან ჯაჯახიშვილი

სურათზე: საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დირექტორი კახი ასათიანი აჯილდოვებს საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაციის პრეზიდენტს გიორგი ძნელაძეს.

ფოტო ვალერიან გენგიურისა.

## იუმორის კუთხე



### მეცამეტე შვილი

მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში სტეინიცს გააცნეს მალთუსის თეორიის მომხრე ერთი პროფესორი. მოგეხსენებათ ამ საზრისს იმხანად ბევრი მიმდევარი ჰყავდა.

— ღარიბი კაცისათვის გაცილებით უმჯობესი იქნება, თუ თითო-ოროლა მემკვიდრეს დასჯერდება. ზოგს შვიდი შვილი ჰყავს, ზოგს — მეტიც. ისინი ხომ მეტწილად ზედმეტი ბარგია როგორც ოჯახისა, ასევე საზოგადოებისათვის.

სტეინიცი ერთხანს სდუმდა, მერმე მიუბრუნდა პროფესორს და ეს მიუგო:

— ემაგ თეორიას უგუნურებად ვთვლი. მამაჩემი ძალზე ღარიბი კაცი იყო, ცამეტი შვილი კი ჰყავდა. მე, ვილჰელმ სტეინიცი, მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, სწორედ მეცამეტე შვილი გახლავართ.

### მეგობრის „რჩევა“

სტეინიცს, მსოფლიო ჩემპიონობის მიუხედავად, ნივთიერად უჭირდა. ამიტომაც დაიარებოდა ნიუ-იორკის კაფე „სიმპსონში“ და ეთამაშებოდა მავანს, მდიდარი ფაბრიკანტის შვილს. პარტიის მოგება ორნახევარი დოლარი ღირდა. რა თქმა უნდა, ყველა შეხვედრაში სტეინიცი იმარჯვებდა.

ერთმა მეგობარმა ურჩია მსოფლიო ჩემპიონს:

— არასწორად ირჯებით, ყველა პარტიას რომ იგებთ. ასე ხომ მეტოქე გულს აიყრის და დღეს თუ ხვალ უთუოდ გაგექცევათ. ცოტა დიპლომატია მოიხმეთ და ზოგჯერ განგებ წააგეთ კიდეც.

სტეინიცს რჩევა ჭკუაში დაუჯდა. მორიგი შეხვედრისას მან, თითქოსდა მიუხვედრელად, მეტოქეს ლაზიერი დაუსვა მოსაკლავად, რაც მისი ახალგაზრდა პარტნიორისათვის საკმარისი გამოდგა. მან კიდეც მალე მოუგო პარტია.

გამარჯვებული აღტაცებით გაიძახოდა:

— ვაშა, ვაშა! გავიმარჯვე, დე, ყველამ გაიგოს მსოფლიოს ჩემპიონი რომ დავამარცხე.

ამ ახალგაზრდამ მაშინვე დატოვა კაფე. ეს იყო და ეს, მას მერე სტეინიცს იგი თვალით აღარ უნახავს.

### აკრძალული ილეთი

ერთხელ ვილჰელმ სტეინიცი საკმაოდ სუსტ მოჭადრაკეს ეთამაშებოდა. სანაძლეო ჰქონდათ დადებული. მოწინააღმდეგეს წინასწარ აძლევდა ფიგურას და პაიკებსაც. თამაშს ესწრებოდა სტეინიცის მეტოქის მეგობარი, უფრო ძლიერი მოჭადრაკე, კრიტიკულ მომენტებში ფეხს რომ აბიჯებდა ფეხზე ამხანაგს, ამით მოსალოდნელ საფრთხეზე მიანიშნებდა. მაშინ სტეინიცმა კონტრილეთს მიმართა, — მეტოქეს ლამაზი მახე დაუგო, თვითონვე დააბიჯა ფეხი. მეტოქეც ჩახვდა საქმის ვითარებას და მერმე უკვე პატიოსნად თამაშობდა. თავის დაცვაც ამას ქვია.

რედაქტორი ედიშერ გიორგაძე
სარედაქციო კოლეგია: შალვა ქირია (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ძნელაძე, თენგიზ გაჩეჩილაძე, დავით მარტიროსოვი (პასუხისმგებელი მდივანი), ზურაბ ტაბატაძე, ავთანდილ ციბაძე, გივი კარტოზია, დავით კვაჭაძე, გივი გამრეკელი, დავით ქავთარაძე, შოთა ინწკირველი, ბესიკ ადეიშვილი, კარლო ცხადაია, ლიანა ლუღუშაური, აკაკი ხიზარულიძე, ჯანსუღ დემეტრაძე, გიორგი ნიჟარაძე.

ჩვენი მისამართია: 380007
ი. მაჩაბლის ქუჩა №11.
ტელეფონები: 93-28-92,
98-13-73, 93-98-75.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში, ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

ეროვნული ბიბლიოთეკა



(დასასრული)

არ მოიპოვება". „შევარდენის" კეთილშობილური მიმართულების ამსახველი სენტენციები მრავლად დაიძებნება ჟურნალ „შევარდენში", რომლის ერთადერთი ნომერი გამოვიდა 1922 წელს (იგი მთლიანად წინა წლების მასალებისაგან შედგა); მერმე მალევე შეწყვიტა არსებობა.

როდესაც უფრო ღრმად ჩავხედეთ „შევარდენის" მოღვაწეობის ამსახველ მასალებს (1918-1921 წლების პერიოდული პრესა, საარქივო საბუთები, იმ ხანაში მოღვაწეთა მოგონებანი, „შევარდენის" ვარჯიშთავთა დღიურები, ჩატარებული გაკვეთილების გეგმები და სხვ. მრ.), ვირწმუნეთ, ამ საზოგადოების პრაქტიკული საქმიანობა, დიახაც, რომ უნდა შეისწავლოს, განაზოგადოს და გამოიყენოს სპოორტული მუშაობის პრაქტიკაში ჩვენმა თანამედროვეობამ.

„შევარდენის" მიერ მოწყობილი „გაფრენები", ანუ სააგიტაციო-საჩვენებელი გამოსვლანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქალაქსა თუ სოფელში, მისი ზრუნვა ქართულ ხალხურ სპორტზე, სასკოლო ფიზიკურ აღზრდაზე, ქმნიდა მტკიცე საფუძველს იმისას, საქართველოში ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა ჭეშმარიტი გზით რომ წარმართულიყო. მაგრამ 1921 წლიდან, ანექსირებულ საქართველოში რაკი მოიწყო ჯვაროსნული ლაშქრობა „შევარდენის" წინააღმდეგ, 1922 წლის ნოემბერში წითელმა მთავრობამ ხელი მოუთავა ჩვენი ერის ბედნიერებისათვის მებრძოლ ამ უაღრესად პროგრესულ სპორტულ საზოგადოების არსებობას.

**სასკოლო ფიზიკური აღზრდა — ყურადღების ცენტრში**

„სკოლა უნდა ზრუნავდეს მოწაფის როგორც სულის, ისე მისი ფიზიკური ცხოვრების განვითარებისათვის", — წერდა იმხანად ჟურნალი „განათლება" (1919 წ., № 1, გვ. 48). დემოკრატიული საქართველოს მთავრობა შეძლებისდაგვარად მეცადინებდა ამ კრედოს მიდევნით ქართველი ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის საკითხთა მოწესრიგებას. მან იმთავითვე, 1918 წლის 6 სექტემბერს, სახალხო განათლების სამინისტროში შექმნა განყოფილებანი უმაღლეს და საშუალო სკოლათა, სახალხო სკოლათა და საპროფესიო სატექნიკო სკოლათა: თითოეულს სათავეში „მთავარი გამგე" ჩაუყენა. ჩამოყალიბდა სახალხო სკოლის ინსპექტორთა მთელი ჯგუფი ადგილობრივ სკოლათა სამეთვალყუროდ. 1919 წელს განყოფილებას სათავეში გიორგი ეგნატაშვილი ჩაუყენეს.

როდესაც ვკითხულობთ სიას იმ სასწავლო დაწესებულებათა, სადაც საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ, უაღრესად დაძაბული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებისადამიუხედავად, შეძლო დაენერგა ფიზიკური აღზრდა, — ძნელია დაფარო გაოცება იმ ისტორიკოსთა თუ „პოლიტოლოგთა" თავხედობის შემყურემ, რომელთაც დემოკრატიული საქართველოს „მთავრობის" მხრივ სასკოლო ფიზიკური აღზრდისადმი უყურადღებობა დაექინებინათ. თავად განსაჯეთ: ფიზიკური აღზრდა, როგორც სავალდებულო საგანი, დაინერგა საქართველოს 34 გიმნაზიაში, 3 რეალურ სასწავლებელში, 5 პედაგოგიურ სასწავლებელში, დაწყებითი ტიპის მრავალ სკოლაში.

**ეპოქის სადაგი შეხედულებანი**

ამ ხანის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის პრაქტიკას მსახურებდნენ თეორიული შეხედულებანი, მაშინდელი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულნი. ყველა ეს მოსაზრებანი, გამონათქვამები, შეიძლება ითქვას, ყალიბდებოდნენ ფიზიკური აღზრდის იდეების ერთ მთლიან სისტემად, რაიც თავისი მეცნიერული დონით სულაც არ ჩამოუვარდებოდა იმჟამინდელ ფიზიკური აღზრდის ევროპულ თუ რუს თეორეტიკოსთა შეხედულებებს.

ჟურნალი „განათლება", რომელსაც ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე რედაქტორობდა, უქადაგებდა დემოკრატიული საქართველოს სასკოლო ცხოვრების მესვეურთ: „სკოლის დანიშნულება მოწაფის პიროვნებისა, მისი სულისა და სხეულის ჰარმონიულ განვითარებაში გამოიხატება" („განათლება", 1919, № 1, გვ. 46). ურჩევდა პედაგოგებს დაენერგათ მასწავლებელთა ყოფაში სასარგებლო ვარჯიშები, განსაკუთრებით ტურიზმი, რამდენადაც „ერთი დღე, ექსკურსიაზე დახარჯული, გაცილებით მეტს მისცემს ბავშვებს, ვიდრე მთელი კვირაობით სკოლის ოთხ კედელს შუა მეცადინეობა" (იქვე გვ. 53).

ტანთვარჯიშული მოძრაობის პრაქტიკას მაცოცხლებელ ელექსირად მოევლინა ცნობილი ტანთმოვარჯიშისა და მეცნიერის გიორგი ნიკოლაძის ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რომელიც ტექნიკურ ლექსიკონის დანართია. უმთავრესი ღირსება მისი ტერმინთა ლაკონიურობაა. თუ რომელიმე მოძრაობის გამოსახატავად რუსულ ენაზე ოთხი და მეტი სიტყვის ხმარება იყო საჭირო, გ. ნიკოლაძემ მათ ერთ ან ორსიტყვიანი ქართული ტერმინი დაუძებნა. ასე მაგალითად: Упор, стоя на коленях, ნიკოლაძის ლექსიკონში განმარტებულია ერთი სიტყვით — „ჩოქბჯენა", Вись на согнутих руках — „ლუნკიდია", Упор на прямих руках — „მართბჯენა" და სხვა მრავალი. საგულისხმოა, რომ დღევანდელ ტანვარჯიშული მოძრაობის პრაქტიკაში ძირითადად ნიკოლაძისეული ტერმინები ბატონობს. დღეს ბევრმა არ უწყის, რომ დღევანდელ სპორტულ მოძრაობაში ტერმინების — მძლეოსნობის, თარჯის, თამასას, გეზრბენის, არეკნის, ქულის, სამხტომის, ზეხწევის, საწყისის, ამანათრბენის, ჩოგბურთის, ფეხბურთის, ორბირთვის და სხვა მრავალთა დამკვიდრება ამ დიდ მამულიშვილის წყალობაა.

სპორტული ტერმინოლოგიის დახვეწაში დიდია გიორგი ეგნატაშვილის როლიც. ამ დიდმა მოღვაწემ ირაკლი ლორთქიფანიძესთან ერთად შეადგინა სახელმძღვანელოც „თავისუფალი ვარჯიში".

1918-1920 წლებში სპორტული მოძრაობის თეორიულად განსამაგრებლად საკმაოდ ნიშნადია როლი „შევარდენის" აქტიური მწვრთნელის გიორგი მერკვილაძისა, რომლის მრავალ საგულისხმიერო შრომათა შორის მეტადრე მოსახსენებელია წიგნი „ქართული მოძრავი თამაშობანი"; „ეს წიგნი, — წერდა ცნობილი ტანთმოვარჯიშე და მკურნალი — მეცნიერი სოსო ასლანიშვილი, — დიდი განძია შევარდენთა ოჯახში, მთელი საქართველოს რესპუბლიკის ისტორიაში".

თავად სოსო ასლანიშვილმა კი, საქართველოში საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის ფუძემდებელმა, შთამომავლობას დაუტოვა წიგნი „შევარდენის გაფრენები", სადაც შევარდენის პრაქტიკული საქმიანობის აღწერასთან ერთად მრავალი სასარგებლო თეორიული შეხედულება გადმოგვცა. მისი ნაშრომი „სამეცნიერო ექსპერიმენტული კონტროლი ტანვარჯიშობაზე ქუთაისის „შევარდენ"-ში 1919-1920 წლის განმავლობაში" დღესაც საინტერესოა თვის მეცნიერულ მიგნებათა წყალობით.

1918-1921 წლების სპორტული მოძრაობის თეორია საგულისხმო გამოკვლევებით გაამდიდრეს სპორტულ—ტანვარჯიშული მოძრაობის მოწინავე წარმომადგენლებმა: დავით ჯავრიშვილმა, მიქელ პატარიძემ, მარიამ ხუნდაძემ, ილია ჭყონიამ, რუსუდან და თამარ ნიკოლაძეებმა, აკაკი კაკაბაძემ, გიტო გიორგიძემ, პეტრე მარღანიძემ და სხვებმა.

ერთი სიტყვით, ჩვენი სამშობლოს ისტორიის ზემოხსენებული ხანმოკლე პერიოდის სპორტული მოძრაობა ბოლშევიკური რუსეთის მიერ ინსპირირებულ პოლიტიკურ კონფლიქტთა და სხვა ძნელბედობათა მიუხედავად გამოკვეთილ როლს თამაშობდა დამოუკიდებელი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

ავთანდილ ციბაძე.

# მწერლობა და ძალოვნობა

ცნობილია ტოლსტოის მუშაობის მეთოდი. იგი მრავალგზის გადააკეთებდა და გადაამუშავებდა ნაწერს. ბიუფონის გამონათქვამი — „გენიოსი — ეს არის მოთმენა" — სრულ ჭეშმარიტებად მიაჩნდა.

მე ერთი განსაკუთრებული ფაქტის მოწმე ვარ. ეს ფაქტი თვით ტოლსტოისათვისაც კი უჩვეულო იყო. 1907 წელს მან იწყო წინასიტყვაობის წერა მის მიერ შედგენილი ბრძნული აზრების კრებულისათვის. ამ წინასიტყვაობაში ტოლსტოის სურდა გამოეხატა თვისი მრწამსი. სულ რაღაც ოთხი ნაბეჭდი ფურცელი უკავია ამ ნაშრომს. ტოლსტოი, შუალედების ჩათვლით სამი წელი მუშაობდა მასზე და, ამ ხნის მანძილზე, 105-ჯერ გადააკეთა, მან არ იცოდა რა იყო დასვენება, დღე-



სასწაულების დროსაც კი (თუნდაც საეკლესიო ყოფილიყოს) მუშაობდა ჩვეულებრივ. იგი მხოლოდ იმ დროს წყვეტდა საქმიანობას, როცა შეუძლოდ გახდებოდა, მაგრამ მაშინაც არ იყო მთლად უქმად. იჯდა კაბინეტში, კითხულობდა, ანდა ადგენდა ახალ გეგმებს. ყოველივე ეს კი მოითხოვდა დიდ ჯანსა და ღონეს, რაც ტოლსტოის უხვად ჰქონდა მომადლებული ბუნებისაგან.

რამდენიმე საათს იმუშავებდა, მერე გამოვიდოდა სასაუზმოდ. არაერთხელ შევსწრებივარ სუფრასთან მჯდომ ტოლსტოის. ჭამდა ვეგეტარიანულ საჭმელებს. ისიც ძლიერ ცოტას. სახეზე შერჩენილი ჰქონდა, ჯერეც დაუმცხრალი შემოქმედებითი წვის ნიშნები. ჭამდა ჩქარა, ზედაც არ უყურებდა საჭმელს, არ აინტერესებდა მისი რაგვარობა და სადღაც შორეთში იმზირებოდა, თითქოს უჭვრეტდა სხვებისაგან დაფარულს, მარტოოდენ მისთვის ხილვადსა რასმე.

ა.ბ. გუსევი

**უსინათლო მოჭადრაკე ქალი**

უკანასკნელ საერთაშორისო ოლიმპიადაზე, იუგოსლავიის ქალაქ ნოვი-სადში მასპინძლების სამი გუნდი გამოდიოდა. ერთ-ერთ ნაკრებში მონაწილეობდა ბრმა მოჭადრაკე ქალი, 25 წლის ანა-მარია მეკელბერგი, რომელმაც თამაში საკმაოდ გვიან, 15 წლის ასაკისამ ისწავლა.

ამ 7 წლის განმავლობაში მოჭადრაკე ქალზე წარმატებულად ვიდოდა ხაჭადრაკო სარბიელზე. სალონიკის ოლიმპიადასა და ნოვი-სადში მან 50 პროცენტზე მეტი ქულა მოაგროვა.



# მხატვრობა და სპორტი

ხელოვნებაში რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება მოითხოვს დიდ სულიერსა და ფიზიკურ ძალ-ღონეს. ამ სარბიელზე გამარჯვებულთ ამიტომაც ადარებენ ათლეტებს და ეს პარალელი ყოველმხრივ გამართლებულია.

ამ საფუძვლით ჩვენს სპორტულ გაზეთში მუდმივ ადგილს მივუჩენთ ხელოვნების იმ წარმომადგენლთ, რომელთაც შეძლეს შეუძლებელი — გადალახეს მათთვის ბუნების მიერ ბოძებელი ენერგიის მიჯნები და ასერიგად მიაღწიეს საწადელ მიზანს.

ცნობილ ფრანგ მხატვარს რენუარს სიცოცხლის ბოლო წლებში სახსრების დაავადებამ დარია ხელი და წაჰგვარა სიარულის უნარი, ამიტომაც ფუნჯის დიდოსტატი ბორბლებიან სავარძელში ჩამჯდარი მუშაობდა.

ერთხელ მხატვარს მისმა ახლობელმა ადამიანმა სახელოსნოში მიუყვანა ექიმი ანრი გოტიე, ვინც რენუარს მკურნალობის სეანსები ჩაუტარა და, ისე გასინჯეთ, რენუარმაც გარეშეთა დაუხმარებლად გაიარა ოთახში.

ექიმმა უთხრა: ასე, ვარჯიშ-ვარჯიშ, ძალმიძს აღგადგენინოთ ფიზიკური ძალები და საბოლოოდ გამოგაკეთოთ, ოღონდ საამისოდ დრო მჭირდებაო.

— მაშინ მე თუნდაც დროებით თავი უნდა ვანებო ფერწერას, ასეა არა? — იკითხა რენუარმა.

— დიახ! — არ დაუმალა მკურნალმა.

და მართლაც ტიტანური ძალის მქონე რენუარმა ამჯობინა დარჩენილიყო სავარძელს მიჯაჭვული. მას აღმოაჩნდა იმდენი სულიერი და ფიზიკური ძალა, რომ ამგვარ ვითარებაშიც შექმნა მრავალი შედევრი.

# გენერალური მდივნები და სპორტი

ლენინი არასოდეს ყოფილა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი., ეს თანამდებობა შედარებით გვიან შემოიღეს და იგი სახელმწიფოში პირველი კაცის სინონიმად იქცა. მაინც ლენინიდან დავიწყოთ. ის, ვინც იცნობდა რევოლუციის ბელადს, ხშირად იგონებს, ლენინს უყვარდა ჭადრაკი და კიდევაც გაეგებოდაო მისი. შემონახულია აგრეთვე ფოტოსურათები, საიდანაც ჩანს, ბიბლიოთეკამდე ველოსიპედით სვლას რომ არჩევდა საზღვარგარეთ მყოფი ლენინი. თუმცა არც ჭადრაკის და არც ველოსპორტის ისტორიაში მისი სახელი არ დამკვიდრებულა. ლენინი სერიოზულად ეკიდებოდა სულ სხვა საქმეს. დასანანი კია, უმჯობესი იქნებოდა, ჭადრაკისათვის არ ეღალატნა. მისი მოსწავლე და კვალის გამგრძელებელი იოსებ სტალინი მალე აღიარეს „ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობრად". მანაც მალე დაადასტურა თავისი მეგობრული გრძნობა. ქვეყნის პირველ მძლეოსანს,სიმაღლეზე მხტომელს კოვტუნს, ვინც პირველმა დაძლია ორმეტრიანი ზღვარი, როგორც ხალხის მოღალატეს, ციხეში ამოაყოფინეს თავი. იგივე ბედი ეწიათ ფეხბურთის სამყაროსთვის საკმაოდ ცნობილ ძმებს სტაროსტინებს, ათეულობით წლები დაყვეს ციხეებსა და გადასახლებაში. 1952 წელს სტალინის ბრძანებით დაიშალა იმ დროისათვის კავშირში კარგად ცნობილი საფეხბურთო გუნდი მოსკოვის ცდსა; მიზეზი გახლდათ ის, რომ საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები ოლიმპიადაზე იუგოსლავიელებთან დამარცხდა.

უნდა ითქვას, სტალინის ვაჟს ვასილს სპორტისა და, კერძოდ, ფეხბურთისა კარგად გაეგებოდა. ბახუსისაგან თავისუფალ დროს ბელადის ვაჟი დიდ გულისყურს აპყრობდა ახლადდაარსებულ სპორტსაზოგადოება ვვს-ის სპორტსმენებს. ამბობენ, ბევრი მათგანი ციხესაც გადაარჩინაო.

ნიკიტა ხრუშჩოვი, მართალია, მუდამჟამ უარყოფდა პიროვნების კულტს, მაგრამ სპორტსმენებისადმი მისი დამოკიდებულება ისეთივე გახლდათ, როგორიც თავისი წინამორბედისა. 1964 წელს ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების ესპანელებთან დამარცხების გამო უფროსი მწვრთნელის თანამდებობა ხრუშჩოვის უშუალო ჩარევის შედეგად

(დასასრული მე-4 გვერდზე)



# „როლან გაროსზე“ წვრილ-წვრილად



„როლან გაროსის“ პირველ კვირას პარიზის გაზეთები აჭრელებული იყო სხვადასხვა საჩოგბურთო ტესტებით. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს. ეს ტესტები (გამოკითხვები) დაგეხმარებათ ამ საინტერესო და დრამატული ტურნირის ფსიქოლოგიური კლიმატის აღქმაში.

**ფავორიტები (პასუხს იძლევიან მაყურებლები)**

1. ედბერგი — 24 პროცენტი
2. ბეკერი — 18
3-4. სანტორო — 15
3-4. კონორსი — 15
5-6. ფორჟე — 5
5-6. მაკინროუ — 5

სიაში მოხვდნენ, აგრეთვე, ვილანდერი, ჰლასეკი, სამპრასი, აგასი, ივანიშევიჩი, ჩერკასოვი.

**უსიმპათიონი (ვინც მაყურებელს ნაკლებად უყვარს)**

1. აგასი — 28 პროცენტი
2. ლეკონტი — 25
3. ჩანგი — 13
4. ბეკერი — 8

სიაში მოხვდნენ: ემილიო სანჩესი, შამპიონი, ვილანდერი, მუსტერი, ჯილბერტი, ივანიშევიჩი.

**მომხიბლავები**

1. საბატინი — 45 პროცენტი
2. კაპრიატი — 8,5
3. ტემეშვარი — 8
4. სელეში — 5
5. გრაფი — 4
6. არავინ — 20

**ფავორიტები**

ამ გრაფაში ფავორიტებს თავად ჩოგბურთელები — ტურნირის მონაწილენი ასახელებდნენ:

1. ბეკერი — 17 პროცენტი
2. ლენდლი — 16
3. მაკინროუ — 14
4. კონორსი — 10
5-6. ედბერგი — 6
5-6. სამპრასი — 6
7-8. ნოა — 3
7-8. მანჩინი — 3

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბევრ შემთხვევაში ის, ვისაც ეკითხებოდნენ, თავის თავს ასახელებდა მთავარ ფავორიტად. ასეთმა ინდივიდუალისტებმა 14 პროცენტი შეადგინეს.

**სიმპათიები**

აქაც თავინთ აზრს კოლეგებზე თავად ჩოგბურთელები გამოთქვამენ. მხედველობაში მიიღება არა თამაშის ხარისხი, არამედ ადამიანური თვისებები.

1. ედბერგი — 19 პროცენტი
2. ნოა — 17
3-4. ბეკერი — 9
3-4. ვილანდერი — 9
5. ლენდლი — 7
6-7. მაკინროუ — 5
6-7. მანჩინი — 5
8. კონორსი — 3
9. არავინ — 16

თავისი თავი დაასახელა ამ სიაში გამოკითხულთა 10-მა პროცენტმა.

**უძლიერესნი**

ამ შეკითხვაზე პასუხები გასცეს ტურნირში მოასპარეზე მამაკაცებმა.

1. გრაფი — 41 პროცენტი
2. საბატინი — 19
3. სელეში — 6

ჩოგბურთელ ვაჟთა 34-მა პროცენტმა განაცხადა, რომ ქალთა თამაში საერთოდ არ აინტერესებთ და თვალყურს არც ადევნებენ.

პუბლიკაცია მოამზადა
**დათო ისლამოვმა.**

## ნენსი რეიგანი... ფარქვეშ

ნბა-ს ყველა კლუბს თავისი ერთგული გულშემატკივრები ჰყავს. ბევრი გულშემატკივარი აქტიურად მონაწილეობს კლუბის ცხოვრებაში და განსაკუთრებულ შემთხვევებში მას დახმარებასაც უწევს.

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის მეუღლე ნენსი მრავალი წელია „ფილადელფია-76“-ს ქომაგობს. იგი ხშირად დადის თამაშებზე და გამარჯვების სიხარულს კალათბურთელებთან ერთად ინაწილებს. აი, ამ ფოტოზეც სწორედ ასეთი მომენტია აღბეჭდილი: „ფილადელფიის“ კალათბურთელებმა და პრეზიდენტის მეუღლემ ასე ორიგინალურად გამოხატეს საერთო სიხარული.



## რა ისმის უცხოეთიდან?

### „ხარების“ დღესასწაული ჩიკაგოში

„ნბა-ს ჩემპიონატი დამთავრდა კატასტროფულად სწრაფად მაიკ დანლივისა და „მეჯიკ“ ჯონსონის ულრმესი ნოკაუტით“. ასეთი სათაურით გამოვიდნენ ხუთშაბათს დილით ჩიკაგოს გაზეთები, რაც იმას ნიშნავდა, რომ „პლეიოფის“ სუპერფინალური სერია „ხარებმა“ მოიგეს ანგარიშით 4:1.

დაუჯერებელი, თითქმის წარმოუდგენელი სენსაციაა, ოღონდ ის კი არა, რომ „ჩიკაგო ბულსი“ გახდა ჩემპიონი, არამედ ის, რომ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა“ სამიდან ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგო შინ. ცოტა უცნაური არითმეტიკაა, მაგრამ ფაქტია: „ლოს-ანჯელესმა“ ის ერთადერთი მატჩი ჩიკაგოში მოიგო. ამავე დროს, „ხარებმა“ („ბულს“ ინგლისურად ხარებს ნიშნავს) შინ მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს, სტუმრად კი — სამჯერ. ზოგჯერ ასეთი მოულოდნელობანიც ხდება პროფესიულ კალათბურთში.

ოთხშაბათს მატჩის ტელერეპორტაჟს თვალყურს ადევნებდა (ისევე, როგორც სხვა ფინალურ შეხვედრებს) მთელი ამერიკა და კიდევ 43 ქვეყანა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე. ბრძოლა დამთავრდა გვიან ღამით ანგარიშით 108:101,..

ხუთიოდე წუთის შემდეგ მთელი ჩიკაგო ქუჩებში გამოვიდა. მანქანები უმთავრესად ორი მიმართულებით მიემგზავრებოდნენ. „ჩიკაგოს“ გულშემატკივართა ნაწილი საყვარელი გუნდის გამარჯვებას „დილიჯენ სტრიტის“ მიდამოებში აღნიშნავდა, მეორე ნაწილი კი სპორტის მოყვარულთა თავშეყრის ტრადიციულ ადგილზე „რიგლეი ფილდზე“. შუაღამეს გაიღო ქალაქის თითქმის ყველა ბარი. კალათბურთის გულშემატკივართა უფასო მომსახურება თითქმის დილამდე გაგრძელდა, მაგრამ როგორც პოლიციის ანგარიშებშია აღნიშნული, წესრიგის დარღვევის ერთი შემთხვევაც არ არის რეგისტრირებული.

გუშინ ფილ ჯექსონსა და მის გამარჯვებულ ბიჭებს მაიკლ ჯორდანის მეთაურობით ჩიკაგომ სადღესასწაულო შეხვედრა მოუწყო. საზეიმო ბანკეტი კი „დაუნ თაუნის“ ფეშენებელურ რესტორან „პეტრილო ბენდშელში“ გადაიხადეს.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ჩიკაგოს ასეთი ზეიმი არ ახსოვს 1986 წლის იანვრის შემდეგ, როცა ამ ქალაქის „დათვებმა“ („ბეარსმა“) სუპერბოულის ტურნირი მოიგეს. მანამდე კი, იმავე „დათვებს“ დიდი ზარ-ზეიმი ჰქონდათ 1963 წელს, როცა ფეხბურთელთა ეროვნული ლიგის ჩემპიონატში გაიმარჯვეს.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **ინგლისის** ნაკრებმა ახალი ზელანდიის დედაქალაქ ველინგტონში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ამ ქვეყნის ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. პირველი ბურთი მე-12 წუთზე გაიტანა პირსმა, ხოლო მეორე — შემცვლელად გამოსულმა ჰირსტმა (51-ე წუთი). ინგლისელი ფეხბურთელები ამ ტურნეს მალაიზიაში გამოსვლით დაამთავრებენ.

● **მადრიდი.** ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრა მადრიდის „რეალმა“ ანგარიშით 1:0 მოუგო „ბარსელონას“. ბარსელონელებმა კარგა ხანია გაინაღდეს ჩემპიონობა (57 ქულა); მეორე ადგილზეა მადრიდის „ატლეტიკო“ (47 ქულა), მესამეზე — მადრიდის „რეალი“ (46 ქულა).

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## ტურნირები და შედეგები

**თელ-ავივი.** ევროპის კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატის პირველი დღის ყველაზე დაძაბული ორთაბრძოლა იყო „ა“ ჯგუფის გუნდების — ისრაელისა და ჩეხოსლოვაკიის შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 91:90. „ბ“ ჯგუფში იუგოსლავიამ დამაჯერებლად სძლია იტალიას — 88:61.

**ლონდონი.** 24 ივნისს დაიწყება „დიდი მუზარადის“ სერიის მესამე შეჯიბრება, არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი ბალახის კორტებზე — უიმბლდონის ტურნირი. გულმოდგინედ ემზადებიან ამ სტარტებისთვის მარტინა ნავრატილოვა, რომელიც ცხრაჯერ იყო ამ ასპარეზობის ჩემპიონი და ივან ლენდლი, რომელსაც არც ერთხელ არ მოუგია იგი.

**კაირო.** დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება სასტენდო სროლაში. გთავაზობთ შედეგებს. მრგვალი სტენდი. 1. ჯონ სამერსი (ავსტრალია) — 197 ქულა. 2. ალექსანდრე ჩერკასოვი (სსრკ) — 196. სასანგრო სტენდი. 1. ალბანო პერა (იტალია) — 217 (225-დან). მეორე და მესამე ადგილები ხვდათ ალექსანდრე ასანოვს და ალექსანდრე ლავრინენკოს (ორივე — სსრკ).



# ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი გიხმობთ!

**საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე**

**დღის სწავლება**

ინსტიტუტის დღის სწავლების ფაკულტეტზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი ასაკის მიუხედავად, რომელთაც გააჩნიათ სპორტული მომზადება არანაკლებ II თანრიგისა სპორტის არჩეულ სახეობაში. დღის სწავლებაზე მიღება იწარმოებს სპორტის შემდეგ სახეობებში: მძლეოსნობა, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი, ცურვა, წყალბურთი, ტყვიის სროლა, თანამედროვე ხუთჭიდი, ფარიკაობა, მშვილდოსნობა, კლასიკური ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო (ვაჟები), ქართული ჭიდაობა, სათხილამურო სპორტი, მეკლდეურობა, ველო, კრივი, ძალოსნობა, ჭადრაკი.

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

ფიზიკური მომზადება, სპორტის არჩეული სახეობა, ბიოლოგია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

**დაუსწრებელი სწავლება**

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი ასაკის მიუხედავად, რომელთაც გააჩნიათ სპორტული მომზადება არანაკლებ III თანრიგისა სპორტის ნებისმიერ სახეობაში. მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: მწვრთნელი, მასწავლებელი, ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი.

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: ფიზიკური მომზადება, ბიოლოგია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

სწავლების ორივე ფორმაზე საბუთების მიღება იწარმოებს 1991 წლის 25 ივნისიდან 15 ივლისამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 17 ივლისიდან 5 აგვისტომდე. გამოცდებზე შეფასება მოხდება 10-ბალიანი სისტემით, სადაც დადებით შეფასებად ითვლება 6-დან 10-ის ჩათვლით.

მისაღებ გამოცდებზე ყველა საგანში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან:

— თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც სარგებლობენ მთავრობის მიერ დადგენილი შეღავათებით;

— ობლები და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, რომლებიც აღიზარდნენ სახელმწიფო ხარჯზე ან ოფიციალურად დანიშნული ჰყავთ მეურვე (ვრცელდება იმ აბიტურიენტებზე, რომელთაც გამოცდების დაწყებამდე არ შესრულებიათ 21 წელი);

ინსტიტუტში შემსვლელმა ყველა აბიტურიენტმა განცხადებას თან უნდა დაურთოს: საბუთი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086), ექვსი ფოტოსურათი (ზომა 3X4), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის), სპორტის საკლასიფიკაციო ბილეთი, პასპორტს და მიწერის მოწმობას (ქართული ნიმუში) წარმოადგენს პირადად.

**დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49.**

**ტელ: 23-08-75**

## სპონსორობის მადლი

საქართველოს საგაზაფხულო ჩემპიონატის მეორე ჯგუფის „გ“ ქვეჯგუფში სხვებთან ერთად ქუთაისის „ფრესკაც“ გამოდის. ფეხბურთის გულშემატკივრებს უთუოდ დააინტერესებთ, საიდან ასეთი უჩვეულო სახელწოდება.

როგორც გახსოვთ, შარშან მეორე ჯგუფში ასპარეზობდა „ქუთაისი-2“. 17-18 წლის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ამ გუნდს ცუდად არ უასპარეზია, მაგრამ მას დაშლის საფრთხე დაემუქრა. საქმე ის არის, რომ აბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო გაერთიანებამ, რომელიც „ქუთაის-2“-ს ეხმარებოდა, რთული ფინანსური მდგომარეობის გამო უარი განაცხადა გუნდის პატრონობაზე...

იღბლად, ახალგაზრდა ფეხბურთელებს მზრუნველი გამოუჩნდათ — გუნდის სპონსორობა ავსტრია-საქართველოს ერთობლივმა კომერციულმა შემოქმედებითმა ფირმა „ფრესკამ“ და შემოქმედებითმა ფირმა „სტა-ფრესკამ“ ივალდებულეს.

ასე შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ფრესკა“. სპონსორები ყურადღებას არ აკლებენ ფეხბურთელებს, სწორედ მათ უზრუნველყოფს ისინი სპორტული აღჭურვილობით, ტრანსპორტით თუ სამედიცინო მომსახურებით. მოგვარდა სხვა საკითხებიც, მოთამაშეებთან კონტრაქტები გაფორმდა. სპონსორების მზრუნველობას „ფრესკა“ კარგი თამაშით პასუხობს — ახალგაზრდული გუნდი ერთ-ერთი საუკეთესოა ქვეჯგუფში.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ხარაიძე, კორექტორები: მ. ძეძამიძე, ც. ჩიტიშვილი.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.